პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 254 (12168) | შაბათი, 4 ნოემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესახებ სკკპ XXII ყრილობის რეზოლუცია

(მიღებულია ერთხმად 1961 წლის 31 ოქტომბერს)

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის მოხსენება სკკპ წესდების ცვლილებათა შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ადგენს:

დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება, რომელიც წარმოადგინა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროგრამა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(გაგრძელება)

კვლავაც უნდა ავამაღლოთ **ადგილობრივი ორგანოების** როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობის მართვაში, განვახორციელოთ სამეურნეო მართვის მთელი რიგი ფუნქციების შემდგომი გადაცემა საერთო-საკავშირო ორგანოებისაგან რესპუბლიკური ორგანოებისათვის, რესპუბლიკური ორგანოებისაგან საოლქო ორგანოებისათვის, საოლქო ორგანოებისაგან რაიონული ორგანოებისათვის. უნდა გაუმჯობესდეს საქმიანობა სახალხო მეურნეობის საბჭოებისა, რომლებიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე ცხოველუნარიან და საწარმო ძალების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამის ფორმას წარმოადგენენ. სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის სრულყოფასთან ერთად ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების შიგნით გაძლიერდება აგრეთვე ეკონომიური ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, რათა უკეთ მოეწყოს გეგმაზომიერი კომპლექსური განვითარება ისეთი მსხვილი ეკონომიური რაიონების მეურნეობისა, როგორიც არიან ურალი, ვოლგისპირეთი, დასავლეთი ციმბირი, აღმოსავლეთი ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ამიერკავკასია, ბალტიისპირეთი, შუა აზია და სხვ.

შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის, კაპიტალური დაბანდებების, საწარმოო ფონდებისა და ფინანსური სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის უნდა გაფართოვდეს **საწარმოთა** ოპერატიული დამოუკიდებლობა და **ინიციატივა** სახელმწიფო საგეგმო დავალებათა საფუძველზე. უნდა ამაღლდეს საწარმოთა როლი და დაინტერესება მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და საწარმოო სიმძლავრეთა ყველაზე სრულად გამოყენების საქმეში.

მეურნეობის ხელმძღვანელობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების შერჩევას, აღზრდასა და დაწინაურებას, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებს, მუშაობენ წარმოების ორგანიზაციასა და მის მართვაზე. სფერო, სადაც მატერიალური ფასეულობანი იქმნება, საზოგადოების ცხოვრების მთავარი სფეროა. ამიტომ საწარმოო წამოწყებებში ხელმძღვანელ სამუშაოზე უნდა ვგზავნიდეთ საუკეთესო კადრებს.

სულ უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს ცენტრში და ადგილებზე **პროფესიული კავშირების** უშუალო და უაღრესად აქტიური მონაწილეობა სამეურნეო გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში, მუშა-მოსამსახურეთა შრომის საკითხების გადაჭრაში, სამეურნეო ხელმძღვანელობისა და საწარმოთა მართვის ორგანოების ფორმირებაში. საჭიროა ავამაღლოთ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების როლი საწარმოთა საქმიანობის საკითხების გადაჭრაში.

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში სამეურნეო ხელმძღვანელობა დაეყრდნობა წარმოების მაღალი მაჩვენებლების მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას. შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების სწორი შეხამება დიდი შემოქმედებითი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში. კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე სულ უფრო გაიზრდება შრომის მორალური სტიმულების, მიღწეული შედეგების საზოგადოებრივი აღიარების, საერთო-სახალხო საქმისათვის თვითეულის პასუხისმგებლობის გრძნობის მნიშვნელობა.

ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების მთელმა სისტემამ უნდა დააინტერესოს ისინი უფრო დიდი საგეგმო დავალებებით, მოწინავე საწარმოო გამოცდილების მაქსიმალური გავრცელებით. განსაკუთრებით უნდა წავახალისოთ ინიციატივა და წარმატებანი წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდების ახალ შესაძლებლობათა გამოხახვასა და გამოყენებაში.

საჭიროა განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ ტექნიკური ნორმირება, შრომის ანაზღაურებისა და პრემირების სისტემები, მანეთით კონტროლი გავუწიოთ მუშაობის რაოდენობასა და ხარისხს, არ დავუშვათ გათანაბრება, გავაძლიეროთ მატერიალური სტიმულირების კოლექტიური ფორმები, რომლებიც აძლიერებენ თვითეული მუშაკის დაინტერესებას მთლიანად საწარმოს მუშაობის მაღალი დონით.

კომუნისტურ მშენებლობაში მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ახალი შინაარსის შესაბამისად, რომელიც ამ ურთიერთობას ახასიათებს სოციალიზმის პერიოდში. ამასთან დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიც არის სამეურნეო ანგარიში, ფული, ფასი, თვითღირებულება, მოგება, ვაჭრობა, კრედიტი, ფინანსები. ერთიან საერთო-სახალხო კომუნისტურ საკუთრებაზე და განაწილების კომუნისტურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ეკონომიურად დრომოჭმული გახდება და გაქრება.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის მთელ პერიოდში შენარჩუნებულ იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის დიდმნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებაში. შემდგომ განმტკიცდება ფულისა და კრედიტის სისტემა, განმტკიცდება საბჭოთა ვალუტა, სულ უფრო ამაღლდება მანეთის მყიდველობითი უნარი, განმტკიცდება მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე.

ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ სამეურნეო ანგარიში, მივაღწიოთ უსასტიკეს ეკონომიასა და ყაირათიანობას, დანაკარგების შემცირებას, თვითღირებულების შემცირებას და წარმოების რენტაბელობის გადიდებას. განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესოთ ფასების სისტემა და მივაღწიოთ იმას, რომ იგი შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ტექნიკურ პროგრესს, წარმოებისა და მოხმარების ზრდას, საწარმოო დანახარჯების შემცირებას. ფასები სულ უფრო მეტად უნდა ასახავდნენ შრომის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს, უზრუნველყოფდნენ წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ანაზღაურებას და გარკვეულ მოგებას თვითეული ნორმალურად მომუშავე საწარმოსათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ბაზაზე ფასების სისტემატური, ეკონომიურად დასაბუთებული შემცირება ფასების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა საზოგადოებას უდიდესი საერთო-სახალხო ფონდები აქვს. ამიტომ იზრდება ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვის და მისი დაცვისა და სწორი გამოყენებისადმი კონტროლის როლი. ყაირათიანობა, ხალხის კუთვნილი ყოველი მანეთის რაციონალური გამოყენება, სახსრების უნარიანი ხარჯვა, გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების განუხრელი გაუმჯობესება, ორგანიზებულობისა და შეგნებული დისციპლინის ამაღლება, ხალხის ინიციატივის განვითარება კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის დაჩქარების მძლავრი წყაროებია.

## II. პარტიის ამოცანები ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში

საბჭოთა ხალხის გმირულმა შრომამ შექმნა მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა. ახლა ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სწრაფად გაუმჯობესდეს მთელი მოსახლეობის — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კეთილდღეობა. სკკპ აყენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — **უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით.**

ეს ამოცანა განხორციელდება იმ გზით, რომ: ა) გადიდდება ინდივიდუალური ანაზღაურება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით საცალო ფასების შემცირებასთან და მოსახლეობის გადასახადების გაუქმებასთან შეხამებით; ბ) გაფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, ესე იგი უფასოდ (განათლება, მკურნალობა, პენსიით უზრუნველყოფა, ბავშვების შენახვა საბავშვო დაწესებულებებში, კომუნალური მომსახურეობით უფასო სარგებლობაზე გადასვლა და ა. შ.).

მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდებას დაფარავს საქონლის მასისა და მომსახურების სწრაფი ზრდა, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართოდ გაშლა.

საბჭოთა ადამიანების უზრუნველყოფა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისა მოსახლეობის შემოსავლის თანაბარი საშუალო დონის დროსაც კი, რამდენადაც საბჭოთა კავშირში ეროვნული შემოსავალი ნაწილდება საზოგადოების ყველა წევრთა ინტერესებისათვის და არ არიან პარაზიტული კლასები, რომლებიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ითვისებენ და ფლანგავენ უდიდეს სიმდიდრეს მილიონობით მშრომელთა ძარცვის გზით.

პარტია ემყარება ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ კომუნიზმის მშენებლობას საფუძვლად უნდა ედოს მატერიალური დაინტერესების პრინციპი. შრომის მიხედვით ანაზღაურება მომავალი ოცწლეულის მანძილზე დარჩება მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროდ.

ამასთან განუხრელად უნდა შემცირდეს განსხვავება მაღალ და შედარებით დაბალ შემოსავალს შორის. არაკვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების სულ უფრო მეტი მასები კვალიფიციური გახდებიან, ხოლო კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების დონეში სხვაობის შემცირებასთან ერთად თანმიმდევრულად შემცირდება განსხვავება ანაზღაურების დონეშიც. მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისას შემოსავლის დაბალი დონე აიწევს უფრო მაღალ დონემდე, თანდათანობით შემცირდება განსხვავება გლეხებისა და მუშების, მცირეხელფასიანი და მაღალხელფასიანი მშრომელების, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობის შემოსავალში.

ამავე დროს, კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე, პირადი მოთხოვნილებანი სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით, ამ ფონდების ზრდის ტემპები გადააჭარბებს შრომის მიხედვით ინდივიდუალური ანაზღაურების გადიდების ტემპებს. კომუნისტური განაწილების შემოღება დამთავრდება მას შემდეგ, რაც შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი ბოლომდე იქნება ამოწურული, ესე იგი როცა შეიქმნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე და შრომა საზოგადოების ყველა წევრისათვის გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

### ა) შემოსავლისა და მოხმარების მაღალი დონის უზრუნველყოფა მთელი მოსახლეობისათვის. ვაჭრობის განვითარება

სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მოცულობა უახლოეს 10 წელიწადში გადიდდება თითქმის ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში — დაახლოებით ხუთჯერ, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 20 წლის განმავლობაში გადიდდება სამნახევარჯერ და მეტად. ამასთან უკვე პირველ ათწლეულში მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი (საზოგადოებრივი ფონდების გათვალისწინებით) საშუალოდ ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდება თითქმის ერთიორად, ხოლო იმ მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, რომლებიც შედარებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, დაახლოებით სამჯერ. ამრიგად, უკვე პირველი ათწლეულის დამლევს ჩვენს ქვეყანაში არ დარჩება მუშა-მოსამსახურეთა მცირეხელფასიანი ჯგუფები.

კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო მაღალი ტემპების საფუძველზე მათი რეალური შემოსავალი გაიზრდება საშუალოდ მუშების შემოსავალზე უფრო სწრაფად და ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით უახლოეს ათწლეულში გადიდდება ერთიორად და მეტად, ხოლო 20 წელიწადში — ოთხჯერ და მეტად.

მნიშვნელოვნად გადიდდება საბჭოთა ინტელიგენციის ისეთი ძრავალრიცხოვანი ფენების შრომის ანაზღაურება, როგორიც არიან ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები და ზოოვეტმუშაკები, მასწავლებლები და მედიცინისა და კულტურის მუშაკები.

მოსახლეობის შემოსავლის ზრდის შესაბამისად მიღწეულ იქნება **სახალხო მოხმარების საერთო დონის სწრაფი ამაღლება.** მთელი მოსახლეობა მიიღებს შესაძლებლობას საკმაოდ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი კვებით. უახლოეს დროში სახალხო მოხმარებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტების (ხორცის, ცხიმის, რძის პროდუქტების), ხილისა და მაღალხარისხოვანი ბოსტნეულის წილი. საკმაოდ დაკმაყოფილდება მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნილებანი ფართო მოხმარების მაღალხარისხოვან საქონელზე: კარგი ხარისხისა და ლამაზ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ნივთებზე, რომლებიც აუმჯობესებენ და ალამაზებენ საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებას, მოხერხებულ თანამედროვე ავეჯზე, გაუმჯობესებულ **საოჯახო** საგნებზე, კულტურული დანიშნულების სხვადასხვა საქონელზე და სხვ. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ავტომანქანების გამოშვება მოსახლეობის მომსახურებისათვის.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებამ მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ამ საქონელზე და შეესაბამებოდეს მის ცვლილებებს. საქონლის დროზე გამოშვება მოსახლეობის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა შესაბამისად, ადგილობრივი, ეროვნული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით აუცილებელი მოთხოვნაა ყველა იმ დარგისათვის, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ.

შემდგომ განვითარდება **საბჭოთა ვაჭრობა,** როგორც ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელი პირობა. ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონსა და ყველა დასახლებულ პუნქტში მოგვარდება კულტურული ვაჭრობა, ფართოდ იქნება გამოყენებული მოსახლეობის მომსახურების პროგრესული ფორმები. გაფართოვდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — მაღაზიების, საწყობების, მაცივრებისა და ბოსტნეულსაცავების ქსელი.

განვითარდება სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც მოწოდებულია გაუმჯობესოს ვაჭრობა სოფლად, მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღება, თავის მნიშვნელობას შეინარჩუნებს საკოლმეურნეო ვაჭრობაც.

მეორე ათწლეულში მიღწეულ იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე მთელი მოსახლეობისათვის, შეიქმნება მატერიალური წანამძღვრები იმისათვის, რომ შემდგომ პერიოდში გადავიდეთ მოთხოვნილების მიხედვით განაწილების კომუნისტურ პრინციპზე.

### ბ) საბინაო პროგლემის გადაჭრა და ყოფაცხოვრების კეთილმოწყობა

სკკპ აყენებს ამოცანას გადაიჭრას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მწვავე პრობლემა — საბინაო პრობლემა. პირველი ათწლეულის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოეღება ბინების ნაკლებობას. ის ოჯახები, რომლებიც ჯერ კიდევ შეტად ვიწრო და ცუდ ბინებში ცხოვრობენ, მიიღებენ ახალ ბინებს. მეორე ათწლეულის შედეგად ყოველ ოჯახს. მათ შორის ახლადშეუღლებულთა ოჯახებს, ექნება კეთილმოწყობილი ბინა ჰიგიენისა და კულტურული ყოფაცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად. ძველი ტიპის გლეხური სახლები ძირითადად შეიცვლება ახალი თანამედროვე სახლებით, ან იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოხდება მათი რეკონსტრუქცია და განხორციელდება საჭირო კეთილმოწყობა. მეორე ათწლეულის განმავლობაში ბინებით სარგებლობა თანდათანობით უფასო გახდება ყველა მოქალაქისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობას, არქიტექტურასა და დაგეგმვას კეთილმოწყობილი, მოხერხებული, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში ეკონომიური ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების, საწარმოო, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შექმნისათვის. ქალაქები და დაბები უნდა წარმოადგენდნენ საწარმოო ზონების, საცხოვრებელი რაიონების, საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა, საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელის, ტრანსპორტის, საინჟინრო მოწყობილობისა და ენერგეტიკის რაციონალურ კომპლექსურ ორგანიზაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობებს.

მომავალ პერიოდში განხორციელდება კომუნალური მშენებლობის და ყველა ქალაქისა და მუშათა დაბის კეთილმოწყობის ფართო პროგრამა, რაც მოითხოვს მათი ელექტროფიკაციის დამთავრებას, გაზიფიკაციის, ტელეფონიზაციის საჭირო დონეს, კომუნალური ტრანსპორტით, წყალსადენითა და კანალიზაციით უზრუნველყოფას, ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ცხოვრების პირობების შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებათა სისტემის განხორციელებას, მათ შორის გამწვანებას, წყლით უზრუნველყოფას, გადამწყვეტ ბრძოლას ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების წინააღმდეგ. სულ უფრო მეტად განვითარდება პატარა და საშუალო კეთილმოწყობილი ქალაქები, რაც გაუმჯობესებს და გაჯანსაღებს ცხოვრების პირობებს.

კომუნალური ტრანსპორტით (ტრამვაი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, მეტრო) სარგებლობა მეორე ათწლეულში უფასო იქნება, ხოლო მის დამლევს უფასო იქნება კომუნალური მომსახურებაც: წყლით, გაზით, გათბობით სარგებლობა.

### გ) სამუშაო დროის შემცირება და შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება

მომავალი 10 წლის განმავლობაში განხორციელდება გადასვლა **ექვსი საათის სამუშაო დღეზე** კვირაში ერთი დასასვენებელი დღით, ან 35 საათის სამუშაო კვირაზე ორი დასასვენებელი დღით, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე და წარმოებებში, სადაც შრომის მავნე პირობებია, — ხუთი საათის სამუშაო დღეზე ან 30 საათის ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

შრომის ნაყოფიერების შესაბამისი ზრდის ბაზაზე მეორე ათწლეულში დაიწყება კიდევ უფრო შემოკლებულ სამუშაო კვირაზე გადასვლა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირი გახდება მსოფლიოში ყველაზე მოკლე და ამავე დროს ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე დიდად ანაზღაურებული სამუშაო დღის ქვეყანა. მნიშვნელოვნად გაიზრდება მშრომელთა თავისუფალი დრო, რაც შექმნის მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების დამატებით პირობებს.

სამუშაო დღის შემოკლებასთან ერთად გაიზრდება მშრომელთა ყოველწლიური ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობა. თანდათანობით ყველა მუშისა და მოსამსახურის მინიმალური შვებულების ხანგრძლივობა გაიზრდება სამ კვირამდე, ხოლო შემდეგ — ერთ თვემდე. ანაზღაურებული შვებულება თანდათანობით გავრცელდება კოლმეურნეებზეც.

შრომის პირობების ყოველი ღონისძიებით გაჯანსაღება და შემსუბუქება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ყველა საწარმოში დაინერგება უსაშიშრობის ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოფილ იქნება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღმოფხვრიან საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადებებს. თანდათანობით მოისპობა ღამის ცვლები საწარმოებში, გარდა იმ საწარმოებისა, სადაც დღედაღამ მუშაობა განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესით ან მოსახლეობის მომსახურების საჭიროებით.

### დ) ზრუნვა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის

სოციალისტური სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც კისრულობს ზრუნვას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. ამას უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიურ და საჰიგიენო ღონისძიებათა სისტემა. განხორციელდება ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ავადმყოფობათა თავიდან აცილება და გადაჭრით შემცირება, მასობრივ ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაცია, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი ზრდა.

მთლიანად დაკმაყოფილდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ **სამედიცინო მომსახურებაზე.** ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებების, მათ შორის საავადმყოფოებისა და სანატორიუმების ფართო მშენებლობას, ყველა სამედიცინო დაწესებულების აღჭურვას თანამედროვე აპარატურით, ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე დისპანსერული მეთვალყურეობის გავრცელებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქად და სოფლად დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა (სამშობიარო სახლები, კონსულტაციები, ბავშვთა სანატორიუმები და საავადმყოფოები, ტყის სკოლები და სხვ.) ქსელის გაშლას.

არსებულ უფასო სამედიცინო მომსახურებასთან ერთად უფასო გახდება სანატორიუმებით სარგებლობა ავადმყოფთათვის, აგრეთვე მედიკამენტების გაცემა.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს დაისვენოს ქალაქგარეთ, განხორციელდება დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ქალაქგარეთ სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების მშენებლობა, რომლებითაც მშრომელები ისარგებლებენ ხელმისაწვდომი ფასით, აგრეთვე პრემიის სახით, შეღავათიან პირობებში ან უფასოდ.

პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში, ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 252-253.

# პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(გაგრძელება)

### ე) ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობებისა და ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება. ბავშვთა და შრომისუუნაროთა შენახვა საზოგადოების ხარჯზე

მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ყოფაცხოვრებაში ქალის არათანასწორი მდგომარეობის ნაშთები, შეიქმნას ყველა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობა, რათა ბედნიერი დედობა შეხამებული იყოს ქალების სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებითს მონაწილეობასთან საზოგადოებრივ შრომასა და საზოგადო მოღვაწეობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში. ქალებს უნდა მიეცეთ შედარებით უფრო მსუბუქი და ამავე დროს საკმაოხელფასიანი სამუშაოები. გაიზრდება ორსულობის გამო შვებულების ხანგრძლივობა.

საჭიროა უზრუნველვყოთ პირობები ოჯახში ქალის შრომის შეგძცირებისა და შემსუბუქებისათვის, ხოლო შემდეგ შეექმნათ შესაძლებლობა, რომ ეს შრომა შეიცვალოს ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საქონელთა დაკმაყოფილების საზოგადოებრივი ფორმებით. ამ მიზნით საოჯახო მეურნეობაში ფართოდ გავრცელდება გაუმჯობესებული იაფი საყოფაცხოვრებო მანქანები, სამაცივნები, ელექტროხელსაწყოები; უახლოეს წლებში მთლიანად დაკმაყოფილდება მოსახლეობის საჭიროებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს **საზოგადოებრივი კვების** ქსელის, მათ შორის საწარმოებთან, დაწესებულებებთან და დიდ სახლებთან სასადილოების ქსელის გაფართოება, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს მომხმარებელთა მომსახურება და სასადილოების პროდუქციის ხარისხი, რათა სასადილოების სადილები გემრიელი და ყუათიანი იყოს და ოჯახს უფრო იაფი უჯდებოდეს, ვიდრე საკმლის შინ მომზადების დროს. საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასების შემცირება წინ გაუსწრებს ხურსათის ფასების შემცირებას სავაჭრო ქსელში. ყოველივე ამის მეოხებით საზოგადოებრივი კვება უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში შეძლებს უპირატესი ადგილი დაიკავოს ოჯახურ პირობებში კვებასთან შედარებით.

მეორე ათწლეულში დაიწყება შემოღება უფასო საზოგადოებრივი კვებისა (სადილები) საწარმოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც წარმოებაში მუშაობენ.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფო მთელ მსოფლიოს დაანახვებს ადამიანის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ნამდვილად სრული და ყოვლისმომცველი დაკმაყოფილების მაგალითს. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება მით უფრო მალე განხორციელდება, რაც უფრო სწრაფად განვითარდებიან ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები და გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო ფართოდ გაიშლება საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგია.

დასახული პროგრამა შეიძლება წარმატებით შესრულდეს მშვიდობის პირობებში. საერთაშორისო ვითარების გართულებამ და ამით გამოწვეულმა თავდაცვის ხარჯების საჭირო გადიდებამ შეიძლება შეაფერხოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების რეალიზაცია. საერთაშორისო ურთიერთობის მტკიცე ნორმალიზაცია, სამხედრო საჭიროებისათვის ხარჯების შემცირება და განსაკუთრებით საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება სახელმწიფოთა შორის სათანადო შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელს გახდიდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეგვესრულებინა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების გეგმები.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამის შესრულებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ხალხს იშრომოს ბეჯითად, შთაგონებით. თვითეულმა მშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში.

## III. პარტიის ამოცანები სახელმწიფო მშენებლობისა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების დარგში

სოციალისტური რევოლუციით შობილმა პროლეტარიატის დიქტატურამ მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. ამავე დროს სოციალიზმის აშენების პროცესში მან თვითონ განიცადა ცვლილებები. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაქრა მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის ფუნქცია. ყოველმხრივ განვითარდა სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ფუნქციები — სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციები. სოციალისტური სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში. დაიწყო პროცესი სახელმწიფოს გადაზრდისა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად. პროლეტარული დემოკრატია სულ უფრო მეტად იქცეოდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიად.

მუშათა კლასი ისტორიაში ერთადერთი კლასია, რომელიც მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრება.

პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნიზმის პირველი ფაზის — სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე, შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით ბევრ აუცილებელი აღარ არის სსრ კავშირში. სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ. რამდენადაც მუშათა კლასი — საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალაა, იგი თავის ხელმძღვანელ როლს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდშიც ახორციელებს. საზოგადოების ხელმძღვანელის თავისი როლის შესრულებას მუშათა კლასი დაამთავრებს კომუნიზმის აშენებასთან ერთად, როცა გაქრებიან კლასები.

პარტია ემყარება იმას, რომ მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი აღარ იქნება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სახელმწიფო მოკვდებოდეს. სახელმწიფო, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია, დარჩება კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. გამოხატავს რა ხალხის ნებას, იგი მოწოდებულია მოაწყოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, განახორციელოს კონტროლი შრომის ზომისა და მოხმარების ზომისადმი, უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უშიშრობა, განავითაროს ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან.

**სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარება და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის გაძლიერება—ასეთია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულება კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.** სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პროცესში მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობითი გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად. კიდევ უფრო განვითარდება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სწორ შეხამებას ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის მაქსიმალურ განვითარებასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან, მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან. საჭიროა განვამტკიცოთ დისციპლინა, განვახორციელოთ ყოველდღიური კონტროლი მართვის აპარატის ყველა რგოლის საქმიანობისადმი და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებათა და კანონთა შესრულების შემოწმება, გავაძლიეროთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მათი ზუსტად და დროზე განხორციელებისათვის.

### 1. საგჭოები და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების განვითარება

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, მისი ერთიანობის განსახიერება არიან. საბჭოები, რომლებშიც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, სულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესოს სახალხო წარმომადგენლობის ფორმები და განავითაროს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები.

საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას კრებებზე და პრესაში კანდიდატთა პირადი და საქმიანი თვისებების უაღრესად ფართო, ყოველმხრივი განხილვა, რათა არჩეულ იქნან ყველაზე ღირსეულნი და ავტორიტეტიანნი.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათში ახალი ძალების მიზიდვისათვის, რათა **სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიაროს ახალმა ასეულ ათასობით და მილიონობით მშრომელმა,** მიზანშეწონილია ყოველი არჩევნების დროს განახლდეს საბჭოების დეპუტატების შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მესამედი.

ხელმძღვანელ ორგანოებში უნარიანი ადამიანების უფრო ფართო წრის მიზიდვის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირიცხოს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ მუშაკთა მხრივ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, პარტიას საჭიროდ მიაჩნია **ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის სისტემატური განახლება.** მიზანშეწონილია დაწესდეს პრინციპი, რომლის თანახმად საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები შეიძლება თავიანთ თანამდებობაზე არჩეულ იქნან, როგორც წესი, სულ ბევრი სამი ვადით ზედიზედ. იმ შემთხვევებში, როცა მუშაკის პირადი ნიჭი, საერთო აზრით, სასარგებლოსა და საჭიროს ხდის მის შემდგომ მოღვაწეობას ხელმძღვანელ ორგანოში, შეიძლება მისი ხელახლა არჩევა. ასეთ შემთხვევაში არჩევა ნამდვილად ითვლება არა ხმების უბრალო უმრავლესობით, არამედ მხოლოდ იმ პირობით, რომ კანდიდატმა მიიღოს ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების სრულყოფა და განუხრელი დაცვა. მთლიანად უნდა განხორციელდეს: საბჭოებისა და მათი დეპუტატების რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე. ამომრჩეველთა უფლება ვადამდე გაიწვიონ დეპუტატები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა; საბჭოების სესიებზე სახელმწიფო მმართველობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხის საჯაროობა, თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა; ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოების სესიებზე თავიდან ბოლომდე; ამ ორგანოების მუშაობის შემოწმება და კონტროლი მათი საქმიანობისადმი; საბჭოების მიერ დეპუტატთა შეკითხვების სისტემატური განხილვა; საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა.

საბჭოს თვითეული დეპუტატი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო მოღვაწეობაში და ასრულებდეს გარკვეულ სამუშაოს. იზრდება საბჭოების მუდმივი კომისიების როლი. უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან სისტემატურად უწევდნენ კონტროლს სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობას და აქტიურად უწყობდნენ ხელს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და აღმასრულებელი ორგანოებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით შემოღებულ იქნას პრაქტიკაში დეპუტატთა პერიოდული განთავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობისაგან კომისიებში მუშაობისათვის.

ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს გადასაწყვეტად თანდათანობით უნდა გადაეცეს სულ უფრო მეტი საკითხი, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოების სამმართველოების და განყოფილებების კომპეტენციას შეადგენენ.

ფართოვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების (ადგილობრივი თვითმმართველობის) უფლებები. ისინი საბოლოოდ გადაწყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რაიონული რგოლის განმტკიცება. საყოველთაო-სახალხო საკუთრებასთან საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების დაახლოების კვალობაზე თანდათანობით შეიქმნება რაიონული მნიშვნელობის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მართვის ერთიანი დემოკრატიული ორგანო.

გაფართოვდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა გაერთიანებების მონაწილეობა საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობაში. პროფკავშირებს, კომკავშირსა და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების სახით უნდა მიეცეთ საკანონმდებლო ინიციატივის, ესე იგი კანონთა პროექტების შეტანის უფლება.

სისტემა უნდა გახდეს მშრომელთა მიერ როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კანონთა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა. უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები უნდა გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად (რეფერენდუმი).

სკკპ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსების სწორად გამოყენება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების დროზე გადაჭრა. საბჭოთა აპარატი უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა იჩენდეს არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას.

ამ ამოცანის გადაჭრის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა მუდმივი **სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი.** ლენინის მითითებათა შესაბამისად განუწყვეტლივ უნდა მოქმედებდნენ კონტროლის ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს შეახამებენ საზოგადოებრივ ინსპექციასთან ცენტრში და ადგილებზე. პარტიას სახალხო კონტროლის ინსპექციები მიაჩნია სახელმწიფოს საქმეების მართვაში, კანონიერების ზუსტად და ცვლისადმი კონტროლის განხორციელებაში, ხალხური ფასეულობანი — ეროვნული მასების ჩაბმის ქმედით [illegible] — [illegible] რატის სრულყოფის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის, მშრომელთა წინადადებების დროზე განხორციელების იარაღად.

სოციალისტური სახელმწიფოს აპარატი ემსახურება ხალხს და ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. მუშაკის არაკეთილსინდისიერება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიზმი გადაჭრით უნდა აღიკვეთოს და სასტიკად დაისაჯოს, პიროვნებათა მიუხედავად. საბჭოთა ადამიანების მოვალეობაა იდგნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე, იჩენდნენ შეუწყნარებლობას ბოროტმოქმედებებისადმი და ებრძოდნენ მათ.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია კვლავაც განვითარდეს დემოკრატიული საწყისები **მმართველობაში.** არჩევითობის და წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ამომრჩევლების წინაშე ანგარიშგების პრინციპი თანდათანობით უნდა გავრცელდეს სახელმწიფო ორგანოების ყველა ხელმძღვანელ მუშაზე.

საჭიროა საქმე ისე წავიყვანოთ, რომ სახელმწიფო ფასიანი აპარატი მცირდებოდეს, რომ მართვის ჩვენებს ეუფლებოდნენ სულ უფრო ფართო მასები და ამ აპარატში მუშაობა პერსპექტივაში აღარ იყოს განსაკუთრებული პროფესია.

მინდობილი საქმისათვის თვითეული ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის მტკიცედ შენარჩუნების პირობებში საჭიროა თანმიმდევრულად განვახორციელოთ კოლეგიურობა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში.

უაღრესად ფართო დემოკრატიზმი შეხამებული უნდა იყოს მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის განუხრელ დაცვასთან და ხელს უწყობდეს მის განმტკიცებას, ზემოდან და ქვემოდან კონტროლის განხორციელებას. ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაში მთავარია ორგანიზატორული მუშაობა მასებში, მუშაკთა სწორი შერჩევა, შემოწმება და შეფასება პრაქტიკული საქმეების მიხედვით, ხელმძღვანელი ორგანოების დავალებათა და გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების კონტროლი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება **სოციალისტური მართლწესრიგის** შემდგომ **განმტკიცებას,** სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას და პიროვნების ყოველმხრივ გაფურჩქვნას.

**კომუნიზმზე გადასვლა ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველი ღონისძიებით განვითარებას.** სოციალიზმმა მშრომელებს მიანიჭა და უზრუნველყო უაღრესად ფართო უფლებანი და თავისუფლებანი. კომუნიზმს მშრომელებისათვის მოაქვს ახალი დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი.

პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი.

მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით. იგი ემყარება ნამდვილად დემოკრატიულ საფუძვლებს: მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობასა და ანგარიშგებას, მათი ვადამდე გაწვევის უფლებას, სასამართლო საქმეთა განხილვის საჯაროობას, სასამართლოებში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობას, ისე რომ სასამართლო, გამომიებისა და მოკვლევის ორგანოები უაღრესი სიზუსტით იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას. მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები კვლავაც განვითარდება და გაუმჯობესდება.

კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არა სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულთა თავიდან აცილებას.

მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით. სოციალიზმის პირობებში თვითეულ ადამიანს, რომელიც შრომითს გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს სასარგებლო საქმიანობას.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემა ზრდის მშრომელებს თავიანთ მოვალეობათა ნებაყოფლობითი, კეთილსინდისიერი შესრულების სულისკვეთებით, იწვევს უფლებათა და მოვალეობათა ორგანულ შეერთებას კომუნისტური საერთო ცხოვრების ერთიან ნორმებად.

### 2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლება. სახელმწიფო და კომუნიზმი

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი. განსაკუთრებით იზრდება **პროფესიული კავშირების** როგორც მმართველობის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის მნიშვნელობა. პარტია ხელს შეუწყობს იმას, რომ პროფკავშირებმა გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში, ამასთან მუდმივი საწარმოო თათბირები გადააქციონ სულ უფრო ქმედით ორგანოებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწარმოთა მუშაობის და წარმოებისადმი კონტროლის გაუმჯობესებას. პროფკავშირები მოწოდებული არიან:

— განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მასების კომუნისტური შეგნების ამაღლებისათვის, გამოდიოდნენ კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების ორგანიზატორებად, ეხმარებოდნენ მშრომელებს შეიმუშაონ სახელმწიფო და საზოგადო საქმეების მართვის ჩვევები, აქტიურად მონაწილეობდნენ შრომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლის განხორციელებაში;

— განავითარონ მუშა-მოსამსახურეთა აქტივობა, ჩაებან ისინი განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში;

— განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, იცავდნენ მშრომელთა მატერიალურ ინტერესებსა და უფლებებს;

— აღწევდნენ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებას, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის, სოციალური დაზღვევის, სანატორიულ-საკურორტო საქმის გაუმჯობესებას;

— უზრუნველყოფდნენ კონტროლს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენებისადმი, მშრომელთა მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საწარმოსა და დაწესებულების მუშაობისადმი;

— აუმჯობესებდნენ მშრომელთა კულტურულ მომსახურებასა და დასვენებას, ავითარებდნენ ფიზკულტურასა და სპორტს.

გაიზრდება როლი **ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა,** როგორც ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც პარტიას ეხმარება აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნიზმის სულისკვეთებით, ჩააბას იგი ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში, მოამზადოს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობა, რომელნიც იცხოვრებენ, იმუშავებენ და საზოგადოებრივ საქმეებს მართავენ კომუნიზმის დროს. პარტიას ახალგაზრდობა მიაჩნია აღმშენებელ, შემოქმედებით ძალად საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

კომკავშირი მოწოდებულია კიდევ უფრო მეტად იჩენდეს ინიციატივასა და თაოსნობას ცხოვრების ყველა დარგში, ავითარებდეს ახალგაზრდობის აქტივობასა და შრომითს გმირობას. კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს იმას, რომ ახალგაზრდობას უნერგავდნენ სამშობლოსადმი, ხალხისადმი, კომუნისტური პარტიისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას, მუდმივ მზადყოფნას საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომისათვის და ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვისათვის, ქალიშვილთა და ჰაბუკთა ზოგადი განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებას. კომკავშირის წმინდა მოვალეობაა ამზადებდეს ახალგაზრდობას სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, ზრდიდეს თავდადებულ პატრიოტებს, რომლებსაც უნარი ექნებათ მტკიცე წინააღმდეგო-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(გაგრძელება)

ბა გაუწიონ ყოველი მტრის თავდასხმას. კომკავშირი ზრდის ახალგაზრდობას კომუნისტური მორალის პრინციპებისა და ნორმების ზუსტად დაცვის სულისკვეთებით. თავისი მუშაობით სკოლასა და პიონერთა ორგანიზაციაში კომკავშირი მოწოდებულია აქტიურად მონაწილეობდეს ხალისიანი, შრომისმოყვარე, ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი თაობის ფორმირებაში.

გაიზრდება **კოოპერაციის**—კოლმეურნეობების, სამომხმარებლო, საბინაო-სამშენებლო კოოპერაციისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების როგორც კომუნისტურ მშენებლობაში მასების ჩაბმის ერთ-ერთი ფორმის, კომუნისტური აღზრდისა და საზოგადოებრივი თვითმმართველობის სკოლის მნიშვნელობა.

განვითარდება აგრეთვე მშრომელთა სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები: სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოებები, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ორგანიზაციები, ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკის მუშაკთა კავშირები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული საზოგადოებები.

პარტიას საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია შრომითი შეჯიბრების ყოველი ღონისძიებით განვითარება და შრომის კომუნისტური ფორმების წახალისება, მშრომელთა აქტივობის შემდგომი გაძლიერება კომუნიზმის მშენებლობაში, ზრუნვა მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. უნდა გაფართოვდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მართვაში, გადაეცეს მათს გამგებლობაში უახლოესი წლების მანძილზე სანახაობრივი საწარმოების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და სახელმწიფოს გამგებლობაში მყოფ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა; გაფართოვდეს ამ ორგანიზაციების საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად, განსაკუთრებით სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვითმოქმედების განვითარების მიზნით პარტიას საჭიროდ მიაჩნია შემდგომ შემცირდეს მათი ფასიანი აპარატი თავიდან ბოლომდე, დაახლოებით სანახევროდ განახლდეს მორიგი არჩევნების დროს თვითეული საზოგადოებრივი ორგანოს შემადგენლობა. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი ორი ვადით ზედიზედ.

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება თანდათან გამოიწვევს მის გარდაქმნას საზოგადოებრივ **კომუნისტურ თვითმმართველობად,** რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. მეურნეობისა და კულტურის მართვის ახლანდელი სახელმწიფო ფუნქციების ანალოგიური საზოგადოებრივი ფუნქციები დარჩება კომუნიზმის დროსაც, სახეს შეიცვლის და გაუმჯობესდება საზოგადოების განვითარების შესაბამისად. მაგრამ მათი განხორციელების ხასიათი და ხერხები სხვა იქნება, ვიდრე სოციალიზმის დროს. დაგეგმვისა და აღრიცხვის, მეურნეობისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის ორგანოები, რომლებიც ახლა სახელმწიფო ორგანოებია, დაკარგავენ პოლიტიკური ხასიათს და გახდებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები. კომუნისტური საზოგადოება შრომის ადამიანთა მაღალორგანიზებული თანამეგობრობა იქნება. ჩამოყალიბდება კომუნისტური საერთო ცხოვრების საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი წესები, რომელთა დაცვა ყველა ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება და ჩვეულება გახდება.

ისტორიულ განვითარებას გარდუვალად მოსდევს სახელმწიფოს კვდომა. სახელმწიფოს სრული კვდომისათვის უნდა შეიქმნას როგორც შინაგანი პირობები — განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება, ისე გარეგანი პირობებიც — საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვება და დამკვიდრება.

## 3. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეყრდნობა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვან მხარდაჭერას და მტკიცედ იცავს სოციალიზმის მონაპოვრებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ კაცობრიობა საბოლოოდ იხსნას აგრესიული ომებისაგან. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი იყო და კვლავ არის საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალური პრინციპი.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს მის მიერ წამოყენებული წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოები ჯიუტად ამბობენ უარს მიიღონ ეს წინადადებანი, ინტენსიურად ზრდიან თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. მათ არა სურთ შეურიგდნენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობას და აშკარად აცხადებენ თავიანთ უგუნურ გეგმებს—მოსპონ ომის გზით საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები. ეს ავალებს კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, ყველა ხალხს გამოიჩინონ შეუნელებელი სიფხიზლე მშვიდობის მტრების აგრესიული ხრიკების მიმართ და მუდამ იყონ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, მუდამ იყონ მზად თავიანთი სამშობლოს შეიარაღებული დაცვისათვის.

პარტია ემყარება იმას, რომ სანამ იარსებებს იმპერიალიზმი, დარჩება აგრესიული ომების საფრთხე. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სოციალისტური სამშობლოს დაცვა, სსრ კავშირის თავდაცვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების განმტკიცება მიაჩნია პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმიდა მოვალეობად, სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად. საბჭოთა კავშირს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად უზრუნველყოს მთელი სოციალისტური ბანაკის საიმედო დაცვა და უშიშროება.

სამინაო პირობების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირს არ ესაჭიროება არმია. მაგრამ რამდენადაც რჩება ომის საფრთხე, რომელიც იმპერიალისტური ბანაკიდან მომდინარეობს, მიღწეული არ არის სრული და საყოველთაო განიარაღება, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საჭიროდ მიაჩნია იქონიოს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება, მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოს გადამწყვეტი და სრული განადგურება ყოველი მტრისა, რომელიც გაბედავს ხელყოს საბჭოთა სამშობლო. საბჭოთა-სახელმწიფო იზრუნებს იმისათვის, რომ მისი შეიარაღებული ძალები ძლიერი იყოს, ჰქონდეთ სამშობლოს დაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი — ატომური და თერმოატომგულის იარაღი, მოქმედების ყველა რადიუსის რაკეტები, ჯეროვან სიმაღლეზე იქონიოს ყველა სახეობის სამხედრო ტექნიკა და იარაღი.

პარტია კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის, თავისი არმიის სიყვარულის სულისკვეთებით. იგი ყოველ მხრივ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი თავდაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომ განვითარებას. სამშობლოს დაცვა, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახური საბჭოთა მოქალაქის მაღალი და საპატიო მოვალეობაა.

სკკპ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყონ ზუსტი და გამართული ორგანიზმი, ჰქონდეთ მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა, სანიმუშოდ ასრულებდნენ პარტიის, მთავრობისა და ხალხის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და მზად იყონ ყოველ მომენტში გამანადგურებელი პასუხი გასცენ იმპერიალისტ აგრესორებს. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია ერთმმართველობა.

პარტია დაუცხრომლად იზრუნებს იმისათვის, რომ მოამზადოს არმიისა და ფლოტის მეთაურთა და პოლიტიკური კადრები, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, რომელთა დაკომპლექტება ხდება საბჭოთა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებით. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ მეთაურთა შემადგენლობა ბეჯითად ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ჰქონდეს მაღალი სამხედრო-ტექნიკური მომზადება, აკმაყოფილებდეს თანამედროვე სამხედრო თეორიისა და პრაქტიკის ყველა მოთხოვნას, განამტკიცებდეს მხედრულ დისციპლინას. ყველა საბჭოთა მეომარი უნდა იზრდებოდეს თავისი ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მზად იყოს მთელი ძალები, ხოლო თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც მოახმაროს სოციალისტური სამშობლოს დაცვას.

სამხედრო მშენებლობის საფუძველთა საფუძველია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა შეიარაღებული ძალებისადმი, არმიასა და ფლოტში პარტიული ორგანიზაციების როლისა და გავლენის გაძლიერება. პარტია შეუნელებელ ყურადღებას აქცევს არმიის, ავიაციისა და ფლოტის მთელ ცხოვრებასა და საქმიანობაზე თავისი მაორგანიზებელი და წარმმართველი გავლენის გადიდებას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შეკავშირებას, არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, მეომრების აღზრდას მამაცობის, გულადობის, გმირობისა და სოციალისტური ქვეყნების არმიებთან საბრძოლო თანამეგობრობის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოების ქვეყნის დაცვისათვის ყოველ მომენტში მზადყოფნის სულისკვეთებით.

## IV. პარტიის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის დარგში

სოციალიზმის პირობებში ხდება ერების აყვავება, მტკიცდება მათი სუვერენიტეტი. ერების განვითარება ხორციელდება არა ეროვნული შუღლის, ეროვნული შეზღუდულობისა და ეგოიზმის გაძლიერების გზით, როგორც ეს ხდება კაპიტალიზმის დროს, არამედ მათი დაახლოების, ძმური ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის გზით, ახალი სამრეწველო ცენტრების წარმოშობა, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღმოჩენა და დამუშავება, ყამირი მიწების ათვისება და ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარება აძლიერებს მოსახლეობის მოძრაობას, ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ხალხების ურთიერთობის გაფართოებას. საბჭოთა რესპუბლიკებში ერთად ცხოვრობენ და ერთსულოვნად შრომობენ მრავალი ეროვნების ადამიანები. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები სსრ კავშირის ფარგლებში სულ უფრო კარგავენ თავიანთ წარსულ მნიშვნელობას, რამდენადაც ყველა ერი თანასწორუფლებიანია, მათი ცხოვრება შენდება ერთიან სოციალისტურ საფუძველზე და თანაბრად კმაყოფილდება თვითეული ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, ყველა ისინი გაერთიანებული არიან საერთო სასიცოცხლო ინტერესებით, ერთ ოჯახად და ერთად მიდიან ერთიანი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანებში შეიქმნა სულიერი სახის საერთო ნიშნები, რომლებიც წარმოშობილია ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობით და რომლებშიც განსახიერებულია სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო ტრადიციები.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ახასიათებს ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა იწვევს საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანებას. სულ უფრო ინტენსიური ხდება ერებს შორის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაცვლა, იზრდება თვითეული რესპუბლიკის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში. კლასებს შორის საზღვრების წაშლა და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება აძლიერებს ერების სოციალურ ერთგვაროვნობას, ხელს უწყობს კულტურის, მორალისა და ყოფაცხოვრების საერთო კომუნისტური ნიშნების განვითარებას, მათ შორის ურთიერთნდობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

სსრ კავშირში კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოვდებიან ერები, გაიზრდება მათი ეკონომიური და იდეური ერთობა, განვითარდება მათი სულიერი სახის საერთო კომუნისტური ნიშნები. მაგრამ ეროვნულ განსხვავებათა, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლა მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივი საზღვრების წაშლა.

ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში წარმოიშობა, პარტია წყვეტს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე. პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც უგულებელყოფას, არც გაზვიადებას.

პარტია ეროვნული ურთიერთობის დარგში აყენებს შემდეგ ამოცანებს:

ა) განაგრძოს ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარება, უზრუნველყოს მათი სულ უფრო მჭიდრო ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, შეკავშირება და დაახლოება ცხოვრების ყველა დარგში და მიიღწიოს სსრ კავშირის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას, ბოლომდე გამოიყენოს და სრულყოს სსრ კავშირის ხალხების ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმები;

ბ) ეკონომიურ დარგში კვლავაც განახორციელოს საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების კურსი; უზრუნველყოს წარმოების რაციონალური განლაგება და ბუნებრივ სიმდიდრეთა გეგმაზომიერი დამუშავება, სრულყოს შრომის სოციალისტური განაწილება რესპუბლიკებს შორის, გააერთიანოს და შეათანხმოს მათი შრომითი ღონისძიებები, სწორად შეახამოს მთელი სახელმწიფოს ინტერესები თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესებთან.

იმის გამო, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ დიდი დადებითი შედეგები გამოიღო, ასეთი ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთ კავშირსა და ურთიერთ დახმარებას. რაც უფრო მჭიდროა ურთიერთობა ერებს შორის და მაღალია საერთო-სახალხო ამოცანების გაგება, მით უფრო წარმატებით იქნება დაძლეული კუთხურობისა და ეროვნული ეგოიზმის გამოვლინებანი.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისა და სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციის მიზნით გარკვეულ ზონებში შეიძლება შეიქმნას სარესპუბლიკათაშორისო სამეურნეო ორგანოები (განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიც არის რწყვა, ელექტროენერგიის შერგოლვა, ტრანსპორტი და სხვ.).

პარტია კვლავაც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიურ თანასწორობას მათი ინტერესების სრული გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებს, რომლებსაც უფრო სწრაფი განვითარება ესაჭიროებათ. კომუნისტური მშენებლობის პროცესში მზარდი დოვლათი სამართლიანად უნდა განაწილდეს ყველა ერსა და ეროვნებას შორის;

გ) მიაღწიოს სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურის შემდგომ ყოველმხრივ აყვავებას. კომუნისტური მშენებლობის ფართო გაქანება და კომუნიზმის იდეოლოგიის ახალი გამარჯვებანი ამდიდრებენ სსრ კავშირის ხალხთა შინაარსით სოციალისტურ, ფორმით ეროვნულ კულტურას. ძლიერდება ერთა და ეროვნებათა იდეური ერთიანობა, მათი კულტურების დაახლოება. სოციალისტური ერების განვითარების ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეროვნული ფორმები კი არ ქვავდებიან, არამედ სახეს იცვლიან, სრულყოფილ ხდებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან, თავისუფლდებიან ყოველივე მოძველებულისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება ცხოვრების ახალ პირობებს. ვითარდება ყველა საბჭოთა ერისათვის საერთო ინტერნაციონალური კულტურა. თვითეული ერის კულტურული საგანძური სულ უფრო მეტად მდიდრდება ქმნილებებით, რომელნიც ტერნაციონალურ ხასიათს იძენენ.

გადამწყვეტ მნიშვნელობას ენიჭება ყველა ერის ხალხთა კულტურების სოციალისტური [illegible] განვითარებას, პარტია ხელს შეუწყობს მათ შემდგომ ურთიერთგამდიდრებასა და დაახლოებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას და ამით კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას. მხარს უჭერს რა თვითეული ხალხის პროგრესულ ტრადიციებს, ხდის რა მათ ყველა საბჭოთა ადამიანის კუთვნილებად, პარტია ყოველი ღონისძიებით განავითარებს კომუნიზმის მშენებელთა ახალ, ყველა ერისათვის ერთიან რევოლუციურ ტრადიციებს;

დ) შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე.

დედაენასთან ერთად რუსული ენის ნებაყოფლობითი შესწავლის პროცესს, რაც ცხოვრებაში ხდება, დადებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და თვითეული ერისა და ეროვნებისათვის სსრ კავშირის სხვა ხალხის კულტურული მიღწევებისა და მსოფლიო კულტურის გაცნობას. რუსული ენა ფაქტიურად გახდა ერთა შორის ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა;

ე) კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელოს ინტერნაციონალიზმის პრინციპები ეროვნული ურთიერთობის დარგში; განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა, როგორც სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი; შეურიგებელად იბრძოლოს ყოველგვარი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, ეროვნული შეზღუდულობისა და განსაკუთრებულობის, წარსულის იდეალიზაციისა და ხალხთა ისტორიაში სოციალურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ტენდენციების წინააღმდეგ, იმ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან კომუნისტურ მშენებლობას. კომუნისტური მშენებლობის მზარდი მასშტაბები მოითხოვს ყადრების განუწყვეტელ გაცვლას ერებს შორის, შეუწყნარებელია ეროვნული განკერძოებულობის რაიმე გამოვლინება საბჭოთა რესპუბლიკებში სხვადასხვა ეროვნების მუშაკთა აღზრდასა და გამოყენებაში. ნაციონალიზმის გამოვლინებათა ლიკვიდაცია შეესაბამება სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს. თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია შემდგომ აყვავდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიდ ოჯახში.

## V. პარტიის ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში

საბჭოთა საზოგადოებამ დიდი წარმატებები მოიპოვა მასების სოციალისტურ აღზრდაში, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა ფორმირებაში. მაგრამ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგაც ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში რჩება კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების წინსვლას.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმების და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში და, მაშასადამე, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები.

პარტიას თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას.

ახალი ადამიანის ფორმირება ხდება კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტური საწყისების განვითარების პროცესში, პარტიის, სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის ზეგავლენით, რომელშიც დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პრესას, რადიოს, კინოსა და ტელევიზიას. საზოგადოებრივი წყობილების კომუნისტური ფორმების შექმნის მსვლელობაში სულ უფრო ძლიერ და მტკიცედ დამკვიდრდება კომუნისტური იდეურობა ცხოვრებაში, შრომაში, ადამიანთა ურთიერთობაში, გამომუშავდება იმის უნარი, რომ გონივრულად ვისარგებლოთ კომუნიზმის სიკეთით. საზოგადოების წევრთა ერთობლივი, გეგმაზომიერად ორგანიზებული შრომა, მათი ყოველდღიური მონაწილეობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის კომუნისტური ურთიერთობის განვითარება იწვევს ადამიანთა შეგნების გარდაქმნას კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლება ხელს უწყობს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შემდგომ იდეურ-პოლიტიკურ შეკავშირებას, მათს თანდათანობით გაერთიანებას კომუნისტური საზოგადოების მშრომელთა ერთიან კოლექტივად.

პარტია აყენებს შემდეგ ამოცანებს:

### 1. კომუნისტური შეგნების დანერგვის დარგში

**ა) მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება.** სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში, როცა სტიქიურმა ეკონომიურმა განვითარებამ ადგილი დაუთმო წარმოებისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნებულ ორგანიზაციას, როცა თეორია ყოველდღე იქცევა პრაქტიკად, პიროვნულ-ხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა საზოგადოების ყველა შრომელში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, რომელიც ფილოსოფიურ, ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიანი და მწყობრი სისტემაა. პარტია ამოცანად სახავს მთელი მოსახლეობის აღზრდას მეცნიერული კომუნიზმის სულისკვეთებით, ამასთან ცდილობს, რომ მშრომელებს ზედმიწევნით ესმოდეთ მსოფლიო განვითარების მსვლელობა და პერსპექტივები, სწორად გაერკვნენ მოვლენებში ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, შეგნებულად აშენონ ცხოვრება კომუნისტურად. თვითეული ადამიანის ყოფაქცევაში, თვითეული კოლექტივისა და თვითეული ორგანიზაციის საქმიანობაში კომუნისტური იდეები ორგანულად უნდა იყოს შეხამებული კომუნისტურ საქმეებთან.

ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი პრობლემების თეორიული დამუშავება და მათი დროული პრაქტიკული გადაჭრა კომუნიზმისაკენ საზოგადოების წარმატებით წინსვლის აუცილებელი პირობაა. თეორია კვლავაც უნდა უშუქებდეს გზას პრაქტიკას, ეხმარებოდეს დაბრკოლებათა და სიძნელეთა გამოვლინებასა და დაძლევას, რომლებიც ხელს უშლიან წარმატებითს კომუნისტურ მშენებლობას. პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნია შემდგომ განავითაროს მარქსისტულ-ლენინური თეორია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ახალი მოვლენებისა და მსოფლიო რევოლუციური მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე. შემოქმედებითად შეახამოს თეორია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

**ბ) შრომითი აღზრდა.** აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში პარტია აყენებს შრომისადმი საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას. საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა თვითეული ადამიანის წმიდა მოვალეობაა. ყოველგვარი შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა, პატივსაცემი და საპატიოა. საჭიროა ყველა მშრომელი აღვზარდოთ შრომის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით, საზოგადოებრივი მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო მაგალითების მიხედვით.

ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარებისათვის, შრომით იქმნება. ამიტომ თვითეული შრომისუნარიანი ადამიანი უნდა მონაწილეობდეს იმ საშუალებათა შექმნაში, რომლებიც საჭიროა მისი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ადამიანი, რომელიც საზოგადოებისაგან იღებს რაიმე სიკეთეს ისე, რომ შრომაში არ მონაწილეობს, მუქთახორაა და სხვის ხარჯზე ცხოვრობს.

კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს. ამის ნებას არ მისცემს არც თავისი შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. შრომა უნარის მიხედვით გახდება საზოგადოების ყველა წევრის ჩვევა, პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება.

**გ) კომუნისტური მორალის დამკვიდრება.** კომუნიზმზე გადასვლის პროცესში სულ უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ფართოვდება მორალური ფაქტორის მოქმედების სფერო და შესაბამისად მცირდება ადამიანთა ურთიერთობის ადმინისტრაციული რეგულირების მნიშვნელობა. პარტია წაახალისებს მოქალაქეთა შეგნებული თვითდისციპლინის ყველა ფორმას, რომლებიც განამტკიცებენ და ავითარებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების ძირითად წესებს.

კომუნისტები ექსპლოატატორთა კლასობრივ მორალს უარყოფენ და ძველი სამყაროს დამახინჯებულ ეგოისტურ შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებს უპირისპირებენ კომუნისტურ მორალს — ყველაზე სამართლიან და კეთილშობილურ მორალს, რომელიც გამოხატავს მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებსა და იდეალებს, ზნეობისა და სამართლიანობის უბრალო ნორმებს, რომლებსაც ექსპლოატატორთა ბატონობის დროს ამახინჯებდნენ ან უსირცხვილოდ თელავდნენ. კომუნიზმი ხდის ცხოვრების ურღვევ წესებად როგორც ცალკეულ პირთა ურთიერთობაში, ისე ხალხების ურთიერთობაშიც. კომუნისტური მორალი შეიცავს ძირითად ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებს, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს მრავალი ათასი წლის მანძილზე სოციალური ჩაგვრისა და ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საზოგადოების ზნეობრივ განვითარებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის რევოლუციურ მორალს. კომუნისტური მორალი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაში მდიდრდება ახალი პრინციპებით, ახალი შინაარსით.

პარტიას მიაჩნია, რომ **კომუნიზმის მშენებლის მორა-**

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

# პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

(გაგრძელება)

**ლურ კოდექსში** შედის ასეთი ზნეობრივი პრინციპები:

— კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული;

— კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს;

— თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის;

— საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი;

— კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

— ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა;

— პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

— ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის;

— შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატრონობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი;

— სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი;

— შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი;

— ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

**დ) პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის განვითარება.** პარტია დაუცხრომლად აღზრდის საბჭოთა ადამიანებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებას. ავითარებს რა საბჭოთა ხალხის სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი, პარტია ემყარება იმას, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პატრიოტიზმი გამოიხატება თავისი სამშობლოსადმი, სოციალისტური ქვეყნების მთელი თანამეგობრობისადმი ერთგულებითა და თავდადებით. სოციალისტური პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ორგანულად შეიცავენ პროლეტარულ სოლიდარობას ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან, მშრომელებთან. პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

**ე) ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება.** კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში იზრდება შესაძლებლობა **აღიზარდოს ახალი ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.**

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობები შექმნილია ისტორიული სოციალური მონაპოვრების — ექსპლოატაციისაგან, უმუშევრობისა და სიღატაკისაგან, სქესის, წარმოშობის, ეროვნების, რასის ნიშნებით დისკრიმინაციისაგან განთავისუფლების მეოხებით. საზოგადოების თვითეულ წევრს მიცემული აქვს თანასწორი შესაძლებლობანი შემოქმედებითი შრომისა და განათლებისათვის. ისობა ადამიანთა შორის დამოკიდებული მდგომარეობისა და უთანასწორობის ურთიერთობა საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში. თვითეული მოქალაქის პირად ღირსებას საზოგადოება იცავს. თვითეულისათვის გარანტირებულია მოსაქმეობისა და სპეციალობის თანასწორი და თავისუფალი არჩევანი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. რაც უფრო მცირდება მატერიალური წარმოებისათვის საჭირო დრო, მით უფრო ფართოვდება შესაძლებლობანი უნარის, ნიჭის, ტალანტის განვითარებისათვის წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ადამიანთა თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად მოხმარდება საზოგადო მოღვაწეობას, კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებას. ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში.

**ვ) კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში.** პარტიას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინებების, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთების, ცრუმორწმუნეობისა და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის შემადგენელ ნაწილად.

წარსულის გადმონაშთების, ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის საზოგადოებრიობას, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. ანტისაზოგადოებრივი საქციელის ამხანაგური დაგმობა თანდათანობით გახდება ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა გამოვლინების აღმოფხვრის მთავარი საშუალება. უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება კარგი მაგალითის ძალას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში.

პარტია იყენებს იდეური ზემოქმედების საშუალებებს, რათა აღზარდოს ადამიანები მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლგაგების სულისკვეთებით, დაძლიოს რელიგიური ცრურწმენები ისე, რომ არ დაუშვას მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა. საჭიროა სისტემატურად ვეწეოდეთ ფართო მეცნიერულ-თეისტურ პროპაგანდას, მოთმინებით განვმარტავდეთ რელიგიურ რწმენათა უსაფუძვლობას, რომლებიც წარსულში წარმოიშვა იმ ნიადაგზე, რომ ადამიანები დაბეჩავებული იყვნენ ბუნების სტიქიური ძალებით და სოციალური ჩაგვრით, არ იცოდნენ ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენებია ჭეშმარიტი მიზეზები. ამასთან უნდა დავეყრდნოთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს, რომელიც სულ უფრო სრულად გადაგვიშლის სამყაროს სურათს, ზრდის ადამიანის ბატონობას ბუნებაზე და ადგილს არ უტოვებს რელიგიის ფანტასტიკურ ჩმახვას ზებუნებრივი ძალების შესახებ.

**ზ) ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილება.** სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა როდი ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებას. კომუნისტური პარტია კვლავაც **ამხილებს კაპიტალიზმის ანტიხალხურ, რეაქციულ არსს** და კაპიტალისტური წყობილების შელამაზების ყოველგვარ ცდებს.

პარტია **სისტემატურად გაუწევს პროპაგანდას სოციალიზმისა და კომუნიზმის დიად უპირატესობებს დრომოჯმულ კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.**

რეაქციულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას პარტია უპირისპირებს კომუნიზმის მეცნიერულ იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია გამოხატავს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს და ასწავლის მათ იბრძოლონ, იმუშაონ და იცხოვრონ საყოველთაო ბედნიერებისათვის. კომუნისტური იდეოლოგია ყველაზე ჰუმანური იდეოლოგიაა. მისი იდეალებია ადამიანთა შორის, ხალხთა შორის ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის დამკვიდრება, კაცობრიობის განთავისუფლება გამანადგურებელი ომების საფრთხისაგან, დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობისა და ყველა ადამიანისათვის თავისუფალი საამური ცხოვრების დამყარება.

## 2. სახალხო განათლების დარგში

კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკური, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

სახალხო განათლების სისტემა ისე ეწყობა, რომ მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ნაყოფიერ შრომასთან, რომ მოზრდილ მოსახლეობას შეეძლოს შეახამოს წარმოების სფეროში მუშაობა სწავლისა და განათლების გაგრძობასთან პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ასეთ პრინციპებზე დამყარებული სახალხო განათლება ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრას — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრას.

განათლებისა და აღზრდის დარგში ძირითადი ამოცანებია:

**ა) საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება.**

უახლოესი ათწლეულის განმავლობაში განხორციელდეს სავალდებულო საშუალო ზოგადი და პოლიტექნიკური თერთმეტწლიანი განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის და განათლება 8 კლასის მოცულობით ახალგაზრდობის იმ ნაწილისათვის, რომელიც დასაქმებულია სახალხო მეურნეობაში და არა აქვს სათანადო განათლება; შემდეგ ათწლეულში ყველას მიეცემა სრული საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა. საყოველთაო საშუალო განათლება უზრუნველყოფილია ზოგადი და პოლიტექნიკური სწავლების განვითარებით, პროფესიული მომზადებით, რომელიც შეხამებულია მოსწავლეთა შესაძლის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან, ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, მათ შორის საღამოს სკოლების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებასთან, რომლებიც საშუალო განათლებას იძლევიან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

საშუალო განათლება უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებას, შრომითს და პოლიტექნიკურ მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად, საზოგადოების მოთხოვნილებათა, მოსწავლეთა უნარისა და სურვილის გათვალისწინებით, აგრეთვე ჯანსაღი მოზარდი თაობის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების გამო განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესებდეთ პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და საწარმოო სწავლების სისტემას, რათა წარმოებაში მომუშავეთა ოსტატობა შეხამებული იყოს მათი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ამაღლებასთან საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების დარგში და საინჟინრო-ტექნიკური, აგრონომიული, სამედიცინო ან სხვა სპეციალური ცოდნის მიღებასთან.

**ბ) სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა.** სახალხო განათლების კომუნისტურ სისტემას საფუძვლად უდევს ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა. ბავშვებზე ოჯახის აღმზრდელობითი გავლენა სულ უფრო ორგანულად უნდა ეხამებოდეს მათს საზოგადოებრივ აღზრდას.

სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის სკოლა-ინტერნატების ქსელის განვითარება უზრუნველყოფს მშრომელთა მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდაზე მშობელთა სურვილისამებრ. მოზარდი თაობის საზოგადოებრივ აღზრდაში მაღლდება მნიშვნელობა სკოლისა, რომელმაც ბავშვებს უნდა ჩაუნერგოს შრომის, ცოდნის სიყვარული, აღზარდოს ახალგაზრდა თაობა კომუნისტური შეგნებისა და ზნეობის სულისკვეთებით. ყოველივე ამაში დიდი, სპატიო და პასუხსაგები როლი ეკუთვნის სახალხო მასწავლებელს, აგრეთვე კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს.

**გ) პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის მაღალ დონეს.** პარტია სახავს განახორციელოს სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის ფართო პროგრამა, რომელიც სავსებით შეესაბამება აღზრდისა და განათლების მოთხოვნილებებს. ყველა სკოლა მიიღებს კარგ შენობას და გადავა ეროვნულად მეცადინეობაზე. ყველა სკოლაში შეიქმნება სასწავლო სახელოსნოები, ქიმიური, ფიზიკური და სხვა კაბინეტები და ლაბორატორიები, ხოლო სოფლად აგრეთვე სასკოლო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები; მსხვილ საწარმოებში — სასწავლო-საწარმოო საამქროები მოსწავლეთათვის. სკოლებში ფართოდ იქნება გამოყენებული უახლესი ტექნიკური საშუალებანი — კინო, რადიო, ტელევიზია.

ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით ყველა სკოლაში და სკოლისგარეშე დაწესებულებაში მოეწყობა ტანვარჯიშის დარბაზები, სასპორტო მოედნები, შეიქმნება პირობები ბავშვთა მხატვრული შემოქმედებისათვის, მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში მეცადინეობისათვის. გაფართოვდება ქალაქისა და სოფლის საბავშვო სტადიონების, სასპორტო სკოლების, ტურისტული ბანაკების, სათხილამურო ბაზების, საწყალოჯმარდო სადგურების, აუზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა ქსელი.

**დ) უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.** მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის კვალობაზე შედგომ განვითარდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, რომელიც მოწოდებულია მომზადოს ფართო თეორიული და პოლიტიკური ჰორიზონტის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სამუშაო დღის შემოკლება და მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება შექმნის იმის პირობებს, რომ ყველამ, ვისაც სწავლა სურს, მიიღოს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში საწარმოთა, პროფკავშირთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხარდაჭერით უნდა გაფართოვდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, განსაკუთრებით საღამოს და დაუსწრებელი სასწავლებლების, აგრეთვე ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების (მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე), სტუდიების, კონსერვატორიებისა და სხვ. ქსელი. ყოველწლიურად მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტები. სპეციალურ განათლებას მიიღებს ათეულ მილიონობით ადამიანი.

## 3. მეცნიერების დარგში

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში საშუალებას იძლევა ყველაზე მფექტიანად გამოვიყენოთ ბუნების სიმდიდრე და ძალები ხალხის ინტერესებისათვის, აღმოვაჩინოთ ახალ სახეობათა ენერგია და შევქმნათ ახალი მასალები, შეეიმუშაოთ კლიმატურ პირობებზე ზემოქმედების მეთოდები, დავეუფლოთ კოსმოსურ სივრცეს. მეცნიერების გამოყენება საზოგადოების საწარმოო ძალების მძლავრი ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. მეცნიერების განვითარება და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვა კვლავაც იქნება პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანები:

**ა) თეორიული კვლევის განვითარება.** მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შემდგომი პერსპექტივები ახლანდელ პერიოდში განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა **ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგების** მიღწევებით. **მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის** განვითარების მაღალი დონე ტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მეცნიერებათა აღმავლობისა და ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა.

თეორიული კვლევა უაღრესად ფართოდ განვითარდება უწინარეს ყოვლისა ტექნიკური პროგრესის ისეთ განმსაზღვრელ დარგებში, როგორიც არის მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ქიმიზაცია, ატომური ენერგიის საწარმოო გამოყენება. ამას განეკუთვნება:

— ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული და სათბობის ბალანსის შესწავლა, ენერგიის ბუნებრივი წყაროების საუკეთესოდ გამოყენების გზების გამონახვა, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, ენერგიის ახალი წყაროების და თბური, ატომური, მზისა და ქიმიური ენერგიის ელექტროენერგიად პირდაპირ გარდაქმნის ხერხების აღმოჩენა, თერმოატომგულის რეაქციების მართვის პრობლემების გადაჭრა;

—ახალი მანქანების ავტომატური და ტელემექანიკური სისტემების შექმნის თეორიისა და პრინციპების შემუშავება, რადიოელექტრონიკის ინტენსიური განვითარება, გამოსათვლელი, მმართველი და საინფორმაციო მანქანების თეორიული საფუძვლების შემუშავება და ტექნიკური სრულყოფა;

— ქიმიური პროცესების გამოკვლევა, ახალი, ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება, მაღალხარისხოვანი და იაფი ხელოვნური და სინთეზური მასალების შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის: მანქანათმშენებლობისათვის, მშენებლობისათვის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების, მინერალური სასუქების წარმოებისათვის, აგრეთვე ახალი პრეპარატების შექმნისათვის, რომლებსაც იყენებენ მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში;

— სასარგებლო წიაღისეულის ძიებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური გამოყენების არსებული მეთოდების სრულყოფა და ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდების გამონახვა.

დიდი ძვრები მოხდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსის განვითარებაში მედიცინის პრობლემების წარმატებით გადაჭრის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საჭიროებებთან დაკავშირებით. კაცობრიობის ინტერესები ამ მეცნიერებათა წრიაში მთავარ ამოცანებად აყენებენ გამოარკვიონ სიცოცხლის მოვლენების არსი, ორგანული სამყაროს განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერებანი, შეისწავლონ ფიზიკა, ქიმია ცოცხლისა, შეიმუშაონ ორგანიზმების სიცოცხლის პროცესების, კერძოდ ნივთიერებათა ცვლის, მემკვიდრეობისა და მიმართული ცვლილებების მართვის სხვადასხვა ხერხები. უფრო ფართოდ და ღრმად განვითარონ მიჩურინული მიმართულება ბიოლოგიურ მეცნიერებაში, რომელიც იმას ემყარება, რომ სიცოცხლის პირობები წამყვანია ორგანული სამყაროს განვითარებაში. მედიცინის მეცნიერებამ მთელი ღონისძიებანი უნდა წარმართოს ისეთ სნეულებათა თავიდან აცილებისა და დაძლევის საშუალებების აღმოსაჩენად, როგორიც არის კიბო, ვირუსული, გულისა და სისხლ-ძარღვთა დაავადებანი და ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში სხვა ავადმყოფობანი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროორგანიზმების შესწავლასა და ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობასა და ჯანმრთელობის დაცვაში, მათ შორის სასურსათო და საკვები საშუალებების, ვიტამინების, ანტიბიოტიკების, ფერმენტების გამომუშავებისათვის, აგროტექნიკის ახალი ხერხების გამონახვისათვის.

ბუნების ახალი მოვლენებისა და კანონების აღმოჩენაში, პლანეტებისა და მზის კვლევაში დიდი შესაძლებლობანი შექმნეს დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრებმა და კოსმოსურმა რაკეტებმა, რომლებმაც საშუალება მისცეს ადამიანს შეეღწიონ კოსმოსში.

მეცნიერების სწრაფი განვითარების საუკუნეში კიდევ უფრო მეტი აქტუალობა ენიჭება თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ, აზროვნებისმეტყველებრივ, ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ შეგებას დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მეცნიერების ერთადერთი მეცნიერული მეთოდის საფუძველზე.

ინტენსიურად უნდა ვითარდებოდეს კვლევითი მუშაობა **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** დარგში, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს. ამ დარგში მდგომარეობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების და კომუნიზმად მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამოკვლევა, კომუნისტური აღზრდის პრობლემების დამუშავება.

ეკონომიური მეცნიერების ამოცანა ის არის, რომ განზოგადოს საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ახალი მოვლენები, დაამუშაოს სახალხო-სამეურნეო პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს უწყობს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას. ეკონომისტების ყურადღება უნდა მიეპყროს სახალხო მეურნეობაში მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდების გამონახვას, საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების პრინციპებისა და კომუნიზმის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემების დამუშავებას.

მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიო განვითარების პრობლემების კვლევა უნდა გვიჩვენებდეს კომუნიზმისაკენ კაცობრიობის წინსვლის კანონზომიერ პროცესს, ძალთა თანაფარდობის შეცვლას სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებას. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ნგრევას და მის შედეგებს, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი, ცხოვრების შემოწმებული ისტორიული გამოცდილების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას.

საჭიროა კვლავაც მტკიცედ ვიცავდეთ და ვამუშავებდეთ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, როგორც მეცნიერებას ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის აზროვნების განვითარების ყველაზე ზოგადი კანონების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი კვლავაც გადაჭრით უნდა ილაშქრებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მემარჯვენე სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების სიწმინდეს.

**ბ) მეცნიერების შეერთება წარმოებასთან.** მეცნიერების ნაყოფიერი განვითარების საწინდარია განუყოფელი კავშირი ხალხის შემოქმედებითს შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

სამეურნეო და კულტურული განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად საჭიროა: გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს ქსელი სამეცნიერო დაწესებულებებისა, მათ შორის სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ცენტრალურ ორგანოებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, აგრეთვე ქსელი სამეცნიერო ლაბორატორიებისა და ინსტიტუტებისა — მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში; განვითარდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში; გაუმჯობესდეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ტერიტორიული განლაგება, უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერების შემდგომი განვითარება ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და მსხვილ ეკონომიურ რაიონებში.

სამეცნიერო დაწესებულებები თავიანთ მუშაობას უნდა წარმართავდნენ და ითანხმებდნენ კვლევის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმების შესაბამისად. მეცნიერული მუშაობის ხელმძღვანელობაში გაიზრდება მეცნიერული საზოგადოებრიობის როლი. მეცნიერების განვითარების აუცილებელი პირობაა თავისუფალი ამხანაგური დისკუსიები, რომლებიც ხელს უწყობენ მომწიფებული პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრას.

პარტია განახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და სრულყოფისათვის და მეცნიერულ საქმიანობაში ყველაზე უნარიანი შემოქმედებითი ძალების ჩაბმისათვის.

საბჭოთა მეცნიერების ღირსების საქმეა განუმტკიცონ საბჭოთა მეცნიერებას მოპოვებული მოწინავე პოზიციები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში **და დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში** ყველა ძირითადი მიმართულებით.

## 4. კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

კულტურული განვითარება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი იქნება. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია ყველა საჭირო იდეოლოგიური და კულტურული პირობის შექმნა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მოსახლეობის კულტურულ ზრდაზე დიდად არის დამოკიდებული საწარმოო ძალების აღმავლობა, ტექნიკის პროგრესი და წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება, თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება, ყოფაცხოვრების კომუნისტური გარდაქმნა.

კომუნიზმის კულტურა, რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. იგი განასახიერებს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების, საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა.

**ა) საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყოველმხრივი განვითარება.**

კომუნიზმზე გადასვლის პირობებში შემოქმედებითი საქმიანობა კულტურის ყველა დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერი და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა წევრისათვის. საბჭოთა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, კინემატოგრაფია, თეატრი, ტელევიზია ხელოვნების ყველა სახე ახალ სიმაღლეებს მიაღწევს იდეური შინაარსისა და მხატვრული ოსტატობის განვითარებაში. ფართოდ გავრცელდება სახალხო თეატრები, მასობრივი თვითმოქმედება, ტექნიკური გამომგონებლობა და ხალხური შემოქმედების სხვა ფორმები. მასების მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის აღმავლობა ხელს შეუწყობს ახალი ნიჭიერი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, მსახიობების დაწინაურებას. საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება ხდება მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე.

პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის, თვითეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრული გამოსავლინებლად ყველა პირობის შექმნისათვის, ყველა მშრომელის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის. მხატვრული სიყვარული კიდევ უფრო შთამაგონებელი იქნება შრომისა, გამშვენიერებს ყოფაცხოვრებას და გაკეთილშობილებს ადამიანს.

კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომი **მძლავრი** აღმავლობისათვის უზრუნველყოფილი იქნება:

— წიგნის გამომცემლობის საქმისა და პრესის ყოველი ღონისძიებით განვითარება პოლიგრაფიული მრეწველობის და ქაღალდის წარმოების შესაბამის გაფართოებასთან ერთად;

— ბიბლიოთეკების, სალექციო და სამკითხველო დარბაზების, თეატრების, კულტურის სახლების, **კლუბების,** კინოთეატრების ქსელის გადიდება;

— ჩვენი ქვეყნის რადიოფიკაციის დამთავრება, სატელევიზიო ცენტრების მშენებლობა, რომლებიც მოიცავენ ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს;

— სახალხო უნივერსიტეტების, თეატრალური კოლექტივებისა და სხვა თვითმოქმედი კულტურული ორგანიზაციების ფართოდ განვითარება;

— შექმნა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამეცნიერო და ტექნიკური ლაბორატორიების, სამხატვრო სახელოსნოების და კინოსტუდიების ფართო ქსელისა, სადაც მუშაობა შეეძლება ყველას, ვისაც მისწრაფება და უნარი აქვს.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია თანაბრად განლაგდეს კულტურული დაწესებულებანი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა თანდათანობით ამაღლდეს სოფლის კულტურის დონე ქალაქის დონემდე. უზრუნველყოფილ იქნას კულტურული ცხოვრების სწრაფი განვითარება ახლად ათვისებულ რაიონებში.

**ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი როლის ამაღლება.**

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს, ისინი მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ

(დასასრული მე.6 გვერდზე)

# პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, გაბედული ნოვატორობა ცხოვრების მხატვრულ ასახვაში შეხამებულია მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან. მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოვლინებისათვის, შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებისათვის.

კომუნისტური პარტია ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში სწორი მიმართულებისათვის, მათი იდეური და მხატვრული დონისათვის, ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითს კავშირებს მათს მუშაობაში.

**გ) საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის განვითარება.** პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ინტერესებისათვის.

## VI. კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა

**საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობა მიაჩნია მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხების მიერ კომუნისტური საზოგადოების აშენების შემადგენელ ნაწილად.**

**სოციალისტური რევოლუციები ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვა დროს რომ ხდება და ამ ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე ერთნაირი რომ არ არის, ეს განაპირობებს იმას, რომ იქ სოციალიზმის აშენების დამთავრება და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მათი შესვლა ერთსა და იმავე დროს არ მოხდება. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოების განვითარება სოციალიზმის ერთიანი მსოფლიო სისტემის შემადგენლობაში, ამ სისტემის კანონზომიერებათა და უპირატესობათა გამოყენება უზრუნველყოფს მათთვის შესაძლებლობას შეამოკლონ სოციალიზმის მშენებლობის ვადები, სახავს პერსპექტივას, რომ ისინი მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში, გადავლენ კომუნიზმზე.**

ქვეყანა, რომელიც პირველი მიდის კომუნიზმისაკენ, აადვილებს და აჩქარებს მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინსვლას კომუნიზმისაკენ. კომუნიზმს რომ აშენებენ, საბჭოთა კავშირის ხალხები მთელი კაცობრიობისათვის კაფავენ გაუკვალავ გზებს, საკუთარი გამოცდილებით ამოწმებენ ამ გზების სისწორეს, ავლინებენ სიძნელეებს, პოულობენ მათი დაძლევის საშუალებებს, არჩევენ კომუნისტური მშენებლობის საუკეთესო ფორმებსა და მეთოდებს.

რამდენადაც საზოგადოებრივი ძალები — მუშათა კლასი, კოოპერირებული გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია — და მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმები (საწარმოები, რომლებსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა) საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ერთი ტიპისა არიან, იმდენად სსრ კავშირში და ამ ქვეყნებში კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი კანონზომიერებანი საერთო იქნება, თვითეული ქვეყნის ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობა შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის თვითეული ქვეყნის ინტერესებს, რადგან განამტკიცებს მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ეკონომიურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას, ქმნის სულ უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობებს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, ამ ქვეყნებისადმი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

სკკპ ემყარება იმას, რომ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის არსებული ფორმები — საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება — სულ უფრო განვითარდება და გაუმჯობესდება.

სოციალისტური წყობილება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მოისპოს კაპიტალიზმისგან მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიური და კულტურული განსხვავება ქვეყნებს შორის, უფრო სწრაფად განვითარდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც კაპიტალიზმის დროს ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ, და განუხრელი აღმავლობის გზით წავიდეს მათი ეკონომიკა და კულტურა, გათანაბრდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების განვითარების საერთო დონე. ამას უზრუნველყოფს: სოციალიზმის ეკონომიური სისტემის უპირატესობანი, თანასწორუფლებიანობა ეკონომიურ ურთიერთობაში; ურთიერთდახმარება და გამოცდილების გაზიარება, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაცვლა, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია; სარეწველო ობიექტების ერთობლივად მშენებლობა, თანამშრომლობა ბუნებრივი რესურსების დამუშავებაში. ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობით მოიგებს თვითეული სოციალისტური ქვეყანა, მთლიანად სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები თვითეული სოციალისტური ქვეყნისაგან მოითხოვს იმას, რომ თავისი ეროვნული მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებანი შეახამოს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების ღონისძიებებთან. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის საერთო დონის ამაღლებისა და შეთანასწორების მიღწევა შეიძლება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ თვითეულმა ქვეყანამ მთლიანად გამოიყენოს თავისი შინაგანი რესურსები, გააუმჯობესოს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, თანმიმდევრულად გამოიყენოს სოციალისტური მეურნეობის გაღლილის ლენინური პრინციპები და მეთოდები, ეფექტიანად გამოიყენოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის უპირატესობანი.

კომუნიზმის აშენებისათვის მატერიალური წანამძღვრების შექმნა ხორციელდება თვითეული ქვეყნის ხალხის შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეში მისი წვლილის განუწყვეტელი გადიდების საფუძველზე. ამას ხელს უწყობს: სოციალისტურ მშენებლობაში გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის გამოყენება; ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის გაშლა, სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემის განუწყვეტელი გაუმჯობესება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფარგლებში ნებაყოფლობის, ურთიერთსარგებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლების საფუძველზე, კოლექტიური გამოცდილების შესწავლა, თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების განმტკიცება; მატერიალური დაინტერესებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომის მორალური სტიმულების ყოველი ღონისძიებით განვითარების პრინციპების განუხრელი დაცვა, შრომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლის განხორციელება.

სოციალიზმი აახლოებს ხალხებსა და ქვეყნებს. სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ფართო თანამშრომლობის პროცესში განმტკიცდება მსოფლიო სოციალიზმის საერთო ეკონომიური ბაზა.

ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც სოციალიზმის მსოფლიო სისტემას ახასიათებს, სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები განაპირობებენ ცალკეულ ეროვნულ მეურნეობათა სულ უფრო მეტ დაახლოებას. როგორც ვ. ი. ლენინი განჭვრეტდა, ვითარდება იმის ტენდენციები, რომ მომავალში შეიქმნას მსოფლიო კომუნისტური მეურნეობა, რომელსაც ერთიანი გეგმით მოაწესრიგებს გამარჯვებული მუშათა კლასი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან თანამეგობრობით თავის ამოცანებად მიაჩნია:

**პოლიტიკურ** დარგში — მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, სრული თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობითი თანამშრომლობის საფუძვლებზე ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ძმური ურთიერთობის განვითარება, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა პოლიტიკური კონსოლიდაცია, რათა ერთობლივად იბრძოლონ იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ, საყოველთაო მშვიდობისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის;

**ეკონომიურ** დარგში — საქონელბრუნვის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების განვითარება, სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის პერსპექტიული სამეურნეო გეგმების სულ უფრო ღრმა კოორდინაცია, რაც ითვალისწინებს საზოგადოებრივი შრომის რაც შეიძლება მეტი ეკონომიის მიღწევას, მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის განვითარების დაჩქარებას, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცებას.

**კულტურის** დარგში — სოციალისტური ქვეყნების ხალხთა კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთობის, კულტურული მიღწევების ურთიერთგაცვლის ყველა ფორმის განუწყვეტელი განვითარება, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება; ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრებისათვის, სოციალისტური ერების ცხოვრებისა და სულიერი წყობის დაახლოებისათვის აქტიური ხელშეწყობა.

სკკპ და საბჭოთა ხალხი გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა დახმარება გაუწიონ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

## VII. პარტია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში

**სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია, გაფართოვა თავისი წარმმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. პარტია გონება, ღირსება და სინდისია ჩვენი ეპოქისა, საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიად რევოლუციურ გარდაქმნებს ახორციელებს. იგი ფხიზლად აკვირდება მომავალს, უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, უღვიძებს მასებს გიგანტურ ენერგიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.**

**კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.**

**კომუნისტური საზოგადოება, ყველა წინა სოციალურ-ეკონომიური ფორმაციისაგან განსხვავებით, ყალიბდება არა სტიქიურად, არამედ ხალხის მასების შეგნებული და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური პარტია ხელმძღვანელობს. კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს, მჭიდროდ დაკავშირებულია მასებთან, სარგებლობს უსაზღვრო ავტორიტეტით ხალხში, დაუფლებულია საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებლობისათვის მთელი მუშაობის სწორ ხელმძღვანელობას, აძლევს მას ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს.**

**პარტიის როლის ამაღლებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ამ საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე განაპირობებს:**

**— კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდა და ამოცანების სირთულე, რაც პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს;**

**— მასების შემოქმედებითი აქტივობის აღმავლობა, ახალ მილიონობით მშრომელთა ჩაბმა სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში;**

**— სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოება;**

**—მეცნიერული კომუნიზმის თეორიის, მისი შემოქმედებითი განვითარებისა და პროპაგანდის მზარდი მნიშვნელობა და ის, რომ საჭიროა გაძლიერდეს მშრომელთა კომუნისტური აღზრდა და ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევისათვის.**

**კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას შეესაბამება ახალი, უფრო მაღალი ეტაპი თვით პარტიის განვითარებაში, მის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში. პარტია განუწყვეტლივ გააუმჯობესებს თავისი მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებს, რათა მასებისადმი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისადმი, საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებისადმი მისი ხელმძღვანელობის დონე შეესაბამებოდეს კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მზარდ მოთხოვნებს.**

**როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმი, პარტია წინ უნდა მიდიოდეს თავისი შინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციაშიც, გვიჩვენებდეს კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმების შემუშავების მაგალითსა და ნიმუშს.**

**პარტიის ცხოვრების კანონია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელად დაცვა, პარტიული მასების წინაშე პარტიული ორგანოებისა და მათი მუშაკების პასუხისმგებლობის გაძლიერება, ყველა კომუნისტის აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდის, პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება. ეს თვით პარტიის იდეური და ორგანიზაციული სიმტკიცის, პარტიის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების, შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარების და ამ საფუძველზე მთელი პარტიული ძალების აქტივიზაციის, მასებთან კავშირის განმტკიცების აუცილებელი პირობაა.**

**პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელია პიროვნების კულტი და მასთან დაკავშირებული დარღვევები ხელმძღვანელობის კოლექტიურობისა, შინაპარტიული დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერებისა. პიროვნების კულტი იწვევს პარტიისა და ხალხის მასების როლის დაკნინებას, ბოჭავს პარტიის იდეური ცხოვრების განვითარებას და მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას.**

**ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი თანმიმდევრულად განხორციელების, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ახალი პარტიული ძალების უფრო ფართოდ შემატების უზრუნველყოფის, ძველი და ახალგაზრდა კადრების სწორი შეხამების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირიცხოს ცალკეულ მუშაკთა ხელში ძალაუფლების მეტისმეტად თავმოყრის შესაძლებლობა და თავიდან აცილებულ იქნას კოლექტივის კონტროლიდან მათი გამოსვლის შემთხვევები, პარტიას საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:**

**ა) შემოღებულ იქნას პრაქტიკაში სისტემატური განახლება გარკვეული პროპორციებით პარტიის ყველა არჩევითი ორგანოსი — პირველადი ორგანიზაციებიდან ცენტრალურ კომიტეტამდე, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელობის მონაცვლეობა.**

**ყოველ მორიგ არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მეოთხედით. პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ, როგორც წესი, სულ დიდი სამი მოწვევის ვადით ზედიზედ. პარტიის ესა თუ ის მოღვაწე, მისი აღიარებული ავტორიტეტის, მაღალი პოლიტიკური, ორგანიზატორული და სხვა თვისებების გამო, შეიძლება არჩეულ იქნას ხელმძღვანელ ორგანოში ზედიზედ უფრო ხანგრძლივი ვადით. ამ შემთხვევაში სათანადო კანდიდატი არჩეულად ითვლება იმ პირობით, თუ მან დახურული (ფარული) კენჭისყრის დროს მიიღო ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.**

**მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო, საოლქო კომიტეტების შემადგენლობა განახლდება სულ ცოტა ერთი მესამედით ყოველ მორიგ არჩევნებში, პარტიის საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომების ან ბიუროების შემადგენლობა — სანახევროდ. ამასთან ამ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი სამი ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ დიდი ორი მოწვევის ვადით.**

**პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში აირჩიოს ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ამ შემთხვევაში არჩევისათვის საჭიროა კენჭისყრის მონაწილე კომუნისტების ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.**

**პარტიის წევრები, რომლებიც ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს შემადგენლობიდან გამოვიდნენ მათი რწმუნებულების ვადის გასვლის გამო, შეიძლება კვლავ არჩეულ იქნან შემდგომი არჩევნების დროს.**

**დაწესდეს, რომ გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ დახურული (ფარული) კენჭისყრით იმ პირობით, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ხმას მისცემს ამ ორგანოს წევრთა მთელი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.**

**ბ) გაფართოვდეს არჩევითობისა და ანგარიშგების პრინციპის გამოყენება პარტიულ ორგანიზაციებში თავიდან ბოლომდე, მათ შორის იმ პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში მუშაობენ (არმია, ფლოტი).**

**გ) ამაღლდეს პარტიული კრებების, კონფერენციების, ყრილობების, პარტიული კომიტეტების, პლენუმებისა და სხვა კოლექტიური ორგანოების როლი. უზრუნველყოფილ იქნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ პარტიაში თავისუფლად და საქმიანად განიხილებოდეს მისი პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხები, ეწყობოდეს ამხანაგური დისკუსიები სადავო ან არასაკმაოდ ნათელ საკითხებზე.**

**დ) განუხრელად შემცირდეს ხელფასიანი პარტიული აპარატი, უფრო ფართოდ მოზიდულ იქნან კომუნისტები შტატგარეშე მუშაკებად საზოგადო მოღვაწეობის წესით.**

**ე) ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც მუშაობის ნაცადი მეთოდი, შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოვლინებისა და გამოსწორების, კადრების სწორად აღზრდის გზა.**

**კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო მაღლდება პარტიის წევრის როლი და პასუხისმგებლობა. კომუნისტი მოვალეა წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მთელი თავისი ქცევით გვიჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ ნიმუშებს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს. სკკპ თავის რიგებს შეავსებს ყველაზე შეგნებული და აქტიური მშრომელებით, წმიდად შეინახავს და მაღლა ატარებს კომუნისტის წოდებას.**

**შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს კომუნისტების აქტივობის ზრდა და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება კეთილშობილური კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის, ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მათ გამოუმუშავდეთ შინაგანი, ორგანული მოთხოვნილება ყველაფერში იქცეოდნენ და მოქმედებდნენ პარტიის პრინციპების, მისი მაღალი მიზნების სრული შესაბამისობით.**

**პარტია კვლავაც განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობასა და მონოლითურობას, წმიდად შეინახავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშას. პარტია თავისი საშუალებების არსენალში ინარჩუნებს სკკპ წესდებით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ გარანტიებს ფრაქციულობისა და ჯგუფურობის ყოველგვარი გამოვლინებისა წინააღმდეგ, რომლებიც შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან. პარტიის ურღვევი იდეური და ორგანიზაციული შეკავშირება მისი უძლეველობის უმნიშვნელოვანესი წყაროა, კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია.**

ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა. **პარტია არსებობს ხალხისათვის, მისთვის სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად.** ხალხთან პარტიის კავშირის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება კომუნიზმისათვის ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობაა. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია მუდამ მიმართავდეს რჩევისათვის მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, გამოჰქონდეს ეს საკითხები მთელი ხალხის განსახილველად, უფრო ფართოდ იზიდავდეს უპარტიოებს მთელ თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. რაც უფრო ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, მით უფრო ღრმა და მრავალმხრივი უნდა იყოს პარტიის მუშაობა მშრომელთა შორის, მით უფრო ძლიერი იქნება მისი გავლენა მასებში.

პარტია ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას. მასების შემოქმედებითი ენერგიის, ინიციატივის განვითარებას, განამტკიცებს სსრ კავშირის ყველა ხალხის ერთიანობასა და მეგობრობას.

სკკპ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცადი მარქსისტულ-ლენინური პრინციპები კვლავაც იქნება ურყევი პრინციპები, რომლებითაც პარტია განუხრელად იხელმძღვანელებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, განავითარებს ძმურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან. განახორციელებს თავისი მოქმედების კოორდინაციას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის ღონისძიებებთან, რათა ერთობლივად იბრძოლონ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

• • •

ასეთია კომუნიზმის მშენებლობის სამუშაოთა პროგრამა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახავს.

სსრ კავშირში კომუნიზმის აშენება კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება იქნება მთელ მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშრომელ მასებს, წარმოადგენს უდიდეს მორალურ მხარდაჭერას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აჩქარებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით.

როცა საბჭოთა ხალხი ისარგებლებს კომუნიზმის სიკეთით, დედამიწის ახალი ასეულ მილიონობით ადამიანი იტყვის: „ჩვენ კომუნიზმის მომხრენი ვართ!“ არა სხვა ქვეყნებთან ომის გზით, არამედ საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის მაგალითით, საწარმოო ძალების აყვავებით, ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ყველა პირობის შექმნით კომუნიზმის იდეები ეუფლებიან ხალხის მასების გონებასა და გულს.

საზოგადოებრივი პროგრესის ძალები გარდუვალად გაიზრდებიან ყველა ქვეყანაში, და ეს იქნება საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობისათვის მხარდაჭერა.

პარტია ემყარება მარქსისტულ-ლენინურ დებულებას: ხალხი ისტორიის შემოქმედია, კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე, და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს სიუხვე და საამური ცხოვრება მოაქვთ ყველასათვის, კიდევ უფრო ზრდიან საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას, ღირსებასა და სახელს.

პარტია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ადამიანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას შეხვდებიან როგორც თავიანთ მშობლიურ, ღვიძლ საქმეს, როგორც თავიანთი ცხოვრების უდიდეს მიზანს და კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დროშას. პარტია მოუწოდებს ყველა კომუნისტს, მთელ საბჭოთა ხალხს — მუშებს, კოლმეურნეებს, გონებრივი შრომის მუშაკებს — თავიანთი ძალები მოახმარონ იმას, რომ წარმატებით შესრულდეს პროგრამაში დასახული ისტორიული ამოცანები.

**კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი.**

**პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.**

**პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**ციტრუსების** მოსავლის მასობრივი კრეფის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, აგრეთვე კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს 1961 წლის მოსავლის ციტრუსების რეალიზაცია საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ და გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე, სანამ შესრულდებოდეს ციტრუსების დამზადების სახელმწიფო გეგმა მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში.

(საქდესი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ნაშრომების მიღება 1962 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად იწარმოებს მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე. ამ ვადის შემდეგ წარდგენილ ყველა ნაშრომს განიხილავენ 1963 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომებთან ერთად.

წინადადებანი ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ კანდიდატურების მასალებთან ერთად, აგრეთვე მათ გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი ი-51, ნეგლინაია ქუჩა 15, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი.

ერ ო ვ ნ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

# წ ე ს დ ე ბ ა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის მებრძოლი ნაცადი ავანგარდია, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე აერთიანებს სსრ კავშირის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე შეგნებულ ნაწილს.

ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულმა კომუნისტურმა პარტიამ, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმმა, ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე მიიყვანა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, შეიქმნა და განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა.

პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. პარტია ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად შემოქმედებითს საქმიანობას, ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს აძლევს მის ბრძოლას საბოლოო მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების მიღწევისათვის.

სკკპ თავის მუშაობას აშენებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელად დაცვის, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების ურღვევი კანონია მისი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, მონოლითურობა, ყველა კომუნისტის მაღალი შეგნებული დისციპლინა. ფრაქციულობისა და ჯგუფურობის რაიმე გამოვლინება შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ პარტიულობასთან, პარტიაში ყოფნასთან.

მთელ მოღვაწეობაში სკკპ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, მის საფუძველზე შემუშავებული პროგრამით, რომელშიც განსაზღვრულია პარტიის ძირითადი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების აშენების პერიოდისათვის.

სკკპ შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმს და გადაჭრით ებრძვის რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის ყოველ გამოვლინებას, რომლებიც სრულიად უცხოა რევოლუციური თეორიისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი, შემადგენელი ნაწილია. იგი მტკიცედ დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცად მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე, აქტიურად უწყობს ხელს მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის, ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიად არმიასთან ძმური კავშირის განმტკიცებას.

## I. პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად იღებს მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში, მუშაობს ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს და იხდის სწევრო შესატანს.

2. პარტიის წევრი მოვალეა:

ა) იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამიმწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს;

ბ) მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, განუმარტავდეს მასებს პარტიის პოლიტიკას, ხელს უწყობდეს ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას, იჩენდეს გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანებისადმი, დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს;

გ) აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეების მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მაგალითს იძლეოდეს საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას;

დ) ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას. მტკიცედ ებრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველ გამოვლინებას, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნამთებს, რელიგიურ ცრურწმენებსა და წარსულის სხვა გადმონაშთებს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს, პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) აქტიურად ავრცელებდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს მშრომელთა მასებში, იბრძოდეს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, სიტყვითა და საქმით უწყობდეს ხელს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებთან, ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და მშრომელებთან საბჭოთა ხალხის ძმური კავშირის განმტკიცებას;

ვ) ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდეს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, იცავდეს პარტიას მის რიგებში ისეთი ადამიანების შეღწევისაგან, რომლებიც არ არიან კომუნისტის მაღალი წოდების ღირსნი, მართალი და პატიოსანი იყოს პარტიისა და ხალხის წინაშე, იჩენდეს სიფხიზლეს, იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას;

ზ) ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გაბედულად ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადულობის, თავგასულობის, თვითდამშვიდების, კუთხურობის წინააღმდეგ, მტკიცე წინააღმდეგობას უწევდეს კრიტიკის ჩახშობის ყოველ ცდას, იბრძოდეს ყოველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს, და აცნობებდეს ასეთ მოქმედებას პარტიულ ორგანოებს, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტამდე;

თ) განუხრელად ახორციელებდეს პარტიის ხაზს კადრების შერჩევაში მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით, იყოს შეურიგებელი ყველა შემთხვევაში, როცა ირღვევა კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპები;

ი) იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტიას აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვით და რა პოსტი უჭირავთ მათ;

კ) ყოველი ღონისძიებით უწყობდეს ხელს სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, დაუცხრომლად იბრძოდეს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში;

ბ) თავისუფლად განიხილავდეს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, პარტიული კომიტეტების სხდომებზე და პარტიულ პრესაში პარტიის პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს, შეჰქონდეს წინადადებანი, აშკარად გამოთქვამდეს და იცავდეს თავის აზრს, სანამ ორგანიზაცია გადაწყვეტილებას მიიღებდეს;

გ) აკრიტიკებდეს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, კომიტეტების პლენუმებზე რომელიც უნდა იყოს კომუნისტს, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უჭირავს მას. ის პირნი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კრიტიკის ჩახშობაში და კრიტიკისათვის დევნაში, მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში, თვით სკკპ რიგებიდან გარიცხვამდე;

დ) პირადად მონაწილეობდეს პარტიულ კრებებში, ბიუროებისა და კომიტეტების სხდომებში, როცა განიხილავენ მისი საქმიანობისა თუ ქცევის საკითხს;

ე) მიმართავდეს შეკითხვებით, განცხადებებითა და წინადადებებით რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით სკკპ ცენტრალურ კომიტეტამდე, და მოითხოვდეს არსებით პასუხს თავის მიმართვაზე.

4. პარტიის წევრად მიღება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური წესით. პარტიის წევრად მიიღებიან შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმის ერთგული მუშები, გლეხები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ახალი წევრები მიიღებიან კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც გავლილი აქვთ დაწესებული საკანდიდატო სტაჟი.

პარტიაში მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ახალგაზრდები 20 წლის ასაკამდე ჩათვლით პარტიაში შედიან მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ მეშვეობით.

კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიღების წესი:

ა) პარტიის წევრად შემსვლელნი წარადგენენ რეკომენდაციებს სკკპ სამი წევრისაგან, რომლებსაც აქვთ სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟი და რეკომენდებულთ იცნობენ სულ ცოტა ერთი წლის ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით.

**შენიშვნა პირველი.** პარტიაში სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა მიღებისას სრულიად საკავშირო ალკკ რაიონული საქალაქო კომიტეტის რეკომენდაცია უდრის პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციას.

**შენიშვნა მეორე.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები თავს იკავებენ რეკომენდაციების მიცემისაგან;

ბ) პარტიაში მიღების საკითხს განიხილავს და წყვეტს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება; მისი გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს პარტიის რაიკომი, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფა არ არის, — საქალაქო კომიტეტი.

პარტიაში მიღების საკითხის განხილვისას რეკომენდაციის მიმცემთა დასწრება სავალდებულო არ არის;

გ) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებიც წინათ სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წევრები იყვნენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიიღებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.

ის პირნი, რომლებიც წინათ სხვა პარტიებში ყოფილან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიიღებიან საერთო საფუძვლებზე, მაგრამ სავალდებულოა, რომ მიღება დაამტკიცოს საოლქო კომიტეტმა, სამხარეო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

5. რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან პარტიული ორგანიზაციების წინაშე რეკომენდებულთა პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების დახასიათების ობიექტურობისათვის.

6. პარტიის წევრად შემსვლელთა პარტიული სტაჟი ითვლება იმ დღიდან, რაც პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება გამოიტანს გადაწყვეტილებას პარტიის წევრად ამ კანდიდატის მიღების შესახებ.

7. პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა აღრიცხვისა და ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაში მათი გადასვლის წესი განისაზღვრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი ინსტრუქციებით.

8. პარტიის იმ წევრის ან წევრობის კანდიდატის საკითხს, რომელსაც სასჯელი მიზეზების უქონლად სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო შესატანი, განიხილავს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. თუ ამასთან გამოირკვა, რომ პარტიის ამ წევრმა ან წევრობის კანდიდატმა ფაქტიურად დაკარგა კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან, იგი ითვლება პარტიიდან გასულად, რაზეც პირველადს პარტიულ ორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება და შეაქვს იგი პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტის დასამტკიცებლად.

9. საწესდებო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და სხვა გადაცდომისათვის პარტიის წევრი ან წევრობის კანდიდატი მიეცემა პასუხისგებაში და მას შეიძლება დაედოს სასჯელი: შენიშვნის მიცემა, საყვედურის (სასტიკი საყვედურის) გამოცხადება, საყვედურის (სასტიკი საყვედურის) გამოცხადება სააღრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელის უმაღლესი ზომაა პარტიიდან გარიცხვა.

აუცილებელ შემთხვევებში პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია პარტიული სასჯელის ზომის სახით გადაიყვანოს პარტიის წევრი კანდიდატად ერთ წლამდე ვადით. პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება პარტიის წევრის კანდიდატად გადაყვანის შესახებ უნდა დაამტკიცოს პარტიის რაიონულმა ან საქალაქო კომიტეტმა.

კანდიდატად გადაყვანილი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პარტიის წევრად მიიღება საერთო საფუძველზე და მას ენახება წინანდელი პარტიული სტაჟი.

უმნიშვნელო გადაცდომისათვის მიღებულ უნდა იქნას პარტიული აღზრდისა და ზემოქმედების ზომები ამხანაგური კრიტიკის, პარტიული გაკიცხვის, გაფრთხილების ან მითითების სახით.

პარტიიდან გარიცხვის საკითხის გადაჭრისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაქსიმუმი ყურადღება და კომუნისტისათვის წაყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობის გულდასმით გარჩევა.

10. პარტიიდან კომუნისტის გარიცხვის საკითხს წყვეტს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება. პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ ეცნობება შესაბამის პარტიულ კომიტეტს, რომლის წევრიც არის ეს კომუნისტი. გადაწყვეტილებანი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო, საოლქო, სარკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტის წევრობის, წევრობის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიათა წევრების პარტიიდან გარიცხვის შესახებ გამოაქვს შესაბამისი კომიტეტის პლენუმს მის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, წევრობის კანდიდატის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრის პარტიიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს პარტიის ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში — ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური კომიტეტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

12. თუ პარტიის წევრმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება, იგი გაირიცხება პარტიიდან და მიეცემა პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

13. პარტიიდან გარიცხულთა ან სასჯელდადებულთა აპელაციებს, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს პარტიიდან გარიცხვის შესახებ განიხილავენ შესაბამისი პარტიული ორგანოები ამ აპელაციების შემოსვლის დღიდან სულ დიდი ერთი თვის ვადაში.

## II. პარტიის წევრობის კანდიდატები

14. პარტიაში შემსვლელი გადის საკანდიდატო სტაჟს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ უფრო ღრმად გაეცნოს სკკპ პროგრამასა და წესდებას და მოემზადოს პარტიის წევრად შესვლისათვის. პარტიული ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს კანდიდატს სკკპ წევრად შესვლისათვის მომზადებაში და შეამოწმოს მისი პირადი თვისებანი.

საკანდიდატო სტაჟის ვადად წესდება ერთი წელიწადი.

15. კანდიდატად მიღების წესი (ინდივიდუალური მიღება, რეკომენდაციების წარდგენა, პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება მიღების შესახებ და მისი დამტკიცება) იგივეა, რაც პარტიის წევრად მიღებისას.

16. საკანდიდატო სტაჟის გასვლის შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაცია განიხილავს და წყვეტს პარტიის წევრად კანდიდატის მიღების საკითხს. თუ საკანდიდატო სტაჟის გავლის მანძილზე კანდიდატმა ვერ გამოიჩინა თავი და თავისი პირადი თვისებებით არ შეიძლება მიღებულ იქნას სკკპ წევრად, პარტიულ ორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ მას უარი ეთქვა პარტიის წევრად მიღებაზე, და მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი, იგი ითვლება სკკპ წევრობის კანდიდატობიდან გასულად.

17. პარტიის წევრობის კანდიდატები მონაწილეობას იღებენ პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობაში და პარტიულ კრებებზე სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით. პარტიის წევრობის კანდიდატები არ შეიძლება არჩეულ იქნან ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, პარტიული კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატებად.

18. სკკპ წევრობის კანდიდატები იხდიან პარტიულ შესატანს იმავე ოდენობით, როგორც პარტიის წევრები.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# თათბირი სოფლის მეურნეობის საკითხებზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 2 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში მოიწვია თათბირი სოფლის მეურნეობის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ XXII ყრილობის დელეგატები — რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაკები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მეცნიერები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის საგეგმო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციათა მუშაკები.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვოროგნოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნოს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, შ. რ. რაშიდოვს, კ. ტ. მაზუროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, ვ. ვ. შერბიცკის.

შეკრებილთა წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში კონკრეტული ამოცანებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენებასა და ყრილობის რეზოლუციაში დასმულია ძირითადი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში. ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, განსაზღვრა წარმოების დონე, რომელსაც უნდა მიაღწიოს ჩვენმა ქვეყანამ უახლოეს წლებში.

ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ, განაცხადა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა გაანალიზებენ სოფლის მეურნეობის მუშაობის ზონალურ თათბირებს. ამ თათბირებზე კონკრეტულად განიხილავენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანებს, ღონისძიებებს, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა განხორციელდეს მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის. საბჭოთა ხალხმა უკვე 1962 წელს უნდა იგრძნოს სოფლის მეურნეობაში იმ ღონისძიებათა განხორციელების რეალური ნაყოფი, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

— ჩვენ პირდაპირ არც ერთი დღე არ უნდა დაეკარგოთ, — ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — ყრილობის დამთავრებისთანავე უნდა გავშალოთ ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა სოფლის მეურნეობის გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად. ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მოეწვია ეს თათბირი და დაესვა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრასაც უნდა მობილრეს ამჟამად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთავარი ღონისძიებანი.

თავის სიტყვაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა თქვა, რომ პირველი რიგის და უმნიშვნელოვანესი საკითხია მიწის სწორი გამოყენება, მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაფართოებლად ნათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლა. ამ მიმართულებით საჭიროა გაწეულ იქნას დიდი მუშაობა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეცნიერებმა, სპეციალისტებმა პრაქტიკოსებთან ერთად სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, აღმოფხვრან მიწათმოქმედების ნათესალახიანი სისტემის შაბლონური გამოყენება, რომელიც უკანასკნელ ხანამდე მეტად სერიოზულ გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის გაძღოლაზე. უნდა შევიმუშაოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საქმიანობის აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და დამახინჯებანი ნათესი ფართობების სტრუქტურაში.

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საცდელ-სანერგნებელმა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, რომელთა მაგალითითაც უნდა ვასწავლიდეთ როგორც ხელმძღვანელ კადრებს, ისე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების ფართო მასებს. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას. სიმინდის დარგში ეს არის ამხანაგების გიტალოვის, მანუკოვსკის, ლისიჩნიკოვის, საპუნოვის, პერეგუდოვას სკოლა; ბარდის დარგში — ამხანაგების კაკუნის, ვოლოვრენკოს გამოცდილება; შაქრის ჯარხლის დარგში — ამხანაგ სვეტლიჩნის სკოლა; ძროხის მექანიზებული წველის დარგში — ზაბოტინების ოჯახის სკოლა. საჭიროა მილიონობით ადამიანს შევასწავლოთ შრომის მოწინავე მეთოდები, დავეხმაროთ მათ პრაქტიკულად დანერგონ ეს გამოცდილება.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა კადრების შერჩევისა და აღზრდის საკითხებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მოუწოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეიმუშაონ ხორცის წარმოების კონკრეტული გეგმა, რათა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, როგორც მინიმუმი, 75 ცენტნერი ხორცი ჰქონდეს 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ეს მაჩვენებელი ძირითადი უნდა იყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, აგრეთვე რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ხორცის წარმოების აღრიცხვაზე ეგრეთწოდებული ცოცხალი წონით. მთავარი და ერთადერთი მაჩვენებელი ხორცის წარმოებისა 100 ჰექტარ სახნავზე და სავარგულებზე უნდა იყოს აღრიცხვა დაკლული წონით.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩვენი ქვეყნის ყველა ზონაში როგორც ხმელ მარცვლად, ისე სასილოსედ ბაზ ტარიანი სიმინდის, აგრეთვე შაქრის ჯარხლის, საკვები პარკოსნების, ბარდის მოყვანას.

ამხანაგი ხრუშჩოვი შეჩერდა აგრეთვე პარკოსანი და მარცვლეული კულტურების მეთესლეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სასუქების წარმოების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სტრუქტურის გაუმჯობესებისა და ცხოვრებასთან მათი კავშირის გაძლიერების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, აგრონომებისა და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკთა კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხებზე. თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

— პარტიამ დიდი გეგმები დასახა სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება განვახორციელოთ ეს გეგმები. ახლა მთავარია ორგანიზატორული მუშაობა. საჭიროა ავამაღლოთ პარტიის სასოფლო რაიკომების როლი, რომლებიც უნდა გახდნენ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ნამდვილი ორგანიზატორები დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. რაიკომების მუშაობის დონე იმის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა ვადებში მიაღწევს მოწინავე მეურნეობათა მაჩვენებლებს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. აქ სოფლის მეურნეობის ბევრი მოწინავეა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენ პარტიის აქტიური ძალა გახდებით ახალი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში. ჩვენს დროში როდი ამბავი, რომ თვითონ იყო მოწინავე, საჭიროა დაეხმაროთ მეზობლებს, რომ გაუთანასწორდნენ წარმოების ნოვატორებს.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ძალღონე არ უნდა დავიშუროთ იმისათვის, რომ კომუნისტური პარტიის პროგრამა შესრულდეს. სწორედ ეს გაუთქვამს სახელს ჩვენს დროს, ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი 6 გვერდიანია.

„კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა ოქტომბრის, 6 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ვარდოსანიძე.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-03, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-73-24, ილუსტრაციო — 8-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 1-84-42.

უე 01195 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.